# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 28 ივნისი 2001 №119 (1392) | ფასი 50 თეთრი




REUTERS

ფრანგული ყირამალა და გერმანული სამაია



REUTERS

## კაცები ისვენებენ, ბავშვები და ქალები მუშაობენ

სანამ ფეხბურთით დაღლილი კაცები, მოთამაშეებიც და ქომაგებიც, ძალას იკრებენ და მომავალი სეზონისთვის ემზადებიან, მანამდე ბურთი და მოედანი ბავშვებს და ქალებს დარჩათ. ბავშვი სიტყვას მოჰყვა, თორემ არგენტინაში, მსოფლიოს ჩემპიონატზე ჭაბუკები კაცურად თამაშობენ. გუშინდელი მერვედფინალური მატჩებიდან გამოსარჩევი საფრანგეთი – გერმანია იყო. დაძაბული ბრძოლა ფრანგთა 3:2 გამარჯვებით დასრულდა. გერმანელი ქალების მჯობნი გერმანიაშივე მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე კი ჯერ არავინ ჩანს. ჯგუფში პირველ გამარჯვებას მასპინძლებმა გუშინ რუსეთის 5:0 ძლევაც დაურთეს.

იხილეთ მეორე გვერდი

## თუ არა და ეგ ბეჭედი ვისია?



REUTERS

შტეფი გრაფის არათითზე ბეჭედი გაჩნდა...

ვიდრე ლონდონში მიმდინარე მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ საჩოგბურთო ტურნირზე, უიმბლდონზე საინტერესო და სენსაციური არაფერი ხდება, ყურადღების ცენტრმა ხასხასა ბალახის კორტებიდან საპრესკონფერენციო დარბაზებში გადაინაცვლა. როდის წავა დიდი სპორტიდან და რას გააკეთებს ამის შემდეგ მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი პატრიკ რაფტერი? რას ნიშნავს ოქროს ბეჭედი შტეფი გრაფის არათითზე? ზოგიერთ კითხვაზე პასუხს ზოგ ვარსკვლავს მარწუხითაც ვერ ამოგლეჯ პირიდან.

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი



REUTERS

...პრესა ეჭვობს, სასიძო ანდრე აგასია


REUTERS
ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი (მარცხნივ) ფეხბურთის მომავალს უცქერს

# მჭავანაძის დრო დადგა
## დავით მუჯირი შტურმის შემტევობას აპირებს

**მოსკოვის** „სპარტაკი" ოთარ ხიზანეიშვილს შეელია — როსტოვის „როსტსელმაშს" დაუთმო, მაგრამ უქართველოდ დარჩენა მაინც არ ისურვა. კლუბის ტექნიკური დირექტორის ალექსანდრ შიკუნოვის ცნობით, გუშინ „სპარტაკმა" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა „ბათუმის" საყრდენ ნახევარმცველ კახა მჭავანაძესთან. რუსეთის შვიდგზის ჩემპიონთა მწვრთნელ-პრეზიდენტმა ოლეგ რომანცევმა ჩვენებური მოსკოვში მიიწვია და კარგა ხანს აკვირდებოდა.

მომავალი სეზონიდან შესაძლოა კლუბი გამოიცვალოს დავით მუჯირმაც. მოლდოვური „შერიფის" მეგოლე და ამ კლუბის გაჩემპიონებაში ლომის წილის დამდები დღე-დღეზე ავსტრიაში უნდა გაემგზავროს და თუ იქაურ „შტურმს" თავი მოაწონა, კარიერას შუა ევროპაში გააგრძელებს.

# ფოთელებმა ყალმუხებს უეფაში უჩივლეს

**მცველი** გიორგი დავითნიძე ახლა თბილისის „ლოკომოტივში" ვარჯიშობს. ერთი წლის წინ „ჯორჯო" ფოთის „კოლხეთს" ელისტის „ურალანში" ჰყავდა განათხოვრებული, ფოთელებს საკომპენსაციო 25 000 დოლარი კი დღემდე არ მიუღიათ.

„კოლხეთი" „ურალანს" კარგა ხანს ედავებოდა, კუთვნილი გადაგვიხადეთო, ყალმუხებიც პირდებოდნენ ჩვენებურთ, რაზეა ლაპარაკი, სიტყვას არ გავტეხთო, მაგრამ „ურალანის" დაპირება ცრუ და წყლის ნაყვა აღმოჩნდა.

ფოთელებმაც ითმინეს, ითმინეს და სამართლის საპოვნელად რუსეთის საფეხბურთო კავშირს მიმართეს. რუსებმა ქართველებს ურჩიეს, რას და ვის ელოლიავებით, ადექით და უეფაში იჩივლეთო.

ჰოდა, დაფაცურდა „კოლხეთის" ტექნიკური დირექტორი ვახტანგ ხაინდრავა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას სთხოვა, უეფასთან გვიშუამდგომლეთო. „კოლხეთის" საჩივარს უეფა ივლისში განიხილავს.

გუშინ ფოთის „კოლხეთის" ტექნიკურ დირექტორ ვახტანგ ხაინდრავას შევეხმიანეთ და ამ ფაქტის კომენტარი ვთხოვეთ:

— უეფას შესაბამისი კომიტეტი ამ საქმეს ივლისში განიხილავს. დიდი იმედი მაქვს, სამართალს ვიპოვით. ცხადია, ელისტელებმაც იციან, რომ ვიჩივლეთ. გვპირდებოდნენ, დღეს-ხვალ მიიღებთ კუთვნილსო, მაგრამ... „ურალანს" თავს არ დავაჩაგვრინებთ, „კოლხეთი" თავისას მიიღებს. ელისტელებს თანხა ჯერ კიდევ 2000 წლის 15 აგვისტოს უნდა გადაეხადათ, მერეც საკმაოდ ვადროვეთ. ღრმად ვარ დარწმუნებული, უეფა ელისტელებს საკადრისად დასჯის.

გუშინვე ელისტაშიც დავრეკეთ, მაგრამ, ჟურნალისტებთან კლუბის შიდა სამზარეულოზე საუბარი აკრძალული გვაქვს, გაგვიგეთ და გვაპატიეთო, გვითხრეს და ამით დაგვემშვიდობნენ.

**გიორგი გუგაძიძე**


გიორგი დავითნიძე (წინა პლანზე)


REUTERS
ბრაზილია — ავსტრალია 4:0. კაკა (№7) ბრაზილიას ერთი გოლით შეეწია

# ფილიამ ქვანია უკან გააბრუნა და გვასალიას ეძებს

**მეცამეტე** ჩემპიონატისთვის მზადება დაიწყო ფოთის „კოლხეთმაც". უკვე მეთორმეტე დღეა, რაც კოლხები გრიგოლეთის საწვრთნელ ბაზაზე გადიან წვრთნას სოსო ფილიას თავკაცობით. მათ ერთი საკონტროლო მატჩის გამართვაც მოასწრეს, გრიგოლეთში უმაღლეს ლიგაში დაბრუნებული წყალტუბოს „სამგურალი" ისტუმრეს და კვირკველიას კინკილა გოლით 1:0 დაამარცხეს. როგორც სოსო ფილიამ გუშინ გვითხრა, მან „სამგურალთან" ის ფეხბურთელები ათამაშა, რომლებიც „კოლხეთში" დარჩენასა და ბულგარულ შეკრებაზე წასვლაზე აცხადებენ პრეტენზიას.

კარში ზურა ქვაჩახია იდგა, ლიბეროდ დავით ნარსია გაამწესეს, სტოპერად კი სამტრედიის „იბერიადან" გასასინჯად მისული ზაზა მიქელთაძე, მარჯვენა მცველობა ასევე სამტრედიელ გიგა ქვანიას დაეკისრა, მარცხენა კი — ლევან აკობიას. საყრდენობა დავით ვართაგავამ იკისრა, მარჯვენა ნახევარმცველად „ტორპედოდან" „კოლხეთში" სამი წლის მერე დაბრუნებულმა ბადრი აჩვლედიანმა ითამაშა, მარცხენა ნახევარმცველად კი დავით კვირკველიამ, გამთამაშებელი ევგენი გულორდავა იყო. თავდასხმაში კიდევ ერთი იბერიელი ბიძინა ივეჩიანი და „კოლხეთი 2"-დან შემატებული თენგიზ ყურაშვილი გახლდნენ.


სოსო ფილია

ქვანია ფილიამ გუშინ დილით გააბრუნა უკან, კარგი ბიჭი კია, მაგრამ „კოლხეთის" ძირითადში ადგილის დამკვიდრება გაუჭირდება და უმჯობესია, ჯერ სხვაგან ითამაშოსო.

მიქელთაძე, ივეჩიანი და გულორდავა კოლხთა ახალწვეულები არიან, თუმცა ჯერ გასასინჯად იმყოფებიან. მათ გარდა ფილიამ ბადრი აჩვლედიანი „ტორპედოდან" დაიბრუნა, ხოლო ილო ქუტიძე ქობულეთის „შუქურადან". გასინჯვაზე გახლავთ „სამგურალიდან" წამოსული ვადაჭკორიაც. რაც შეეხებათ გუნდიდან წასულებს, ალბათ იცით, რომ ჯონი შალამბერიძე და ლევან შავგულიძე „დინამოში" გადავიდნენ, დავით ხუჭუამ ზესტაფონის „მეტალურგს" შეაფარა თავი. ხოლო ელდარ გვასალია სად არის ფილიასთვის უცნობია. ვეტერან ზაველ ლალანიძეს კარიერის გაგრძელება რუსეთში განუზრახავს და თვის ბოლოს, სავარაუდოდ, კრასნოიარსკში წავა სათამაშოდ.

— ახლა გუნდში 30-მდე ფეხბურთელი ვარჯიშობს. ბულგარეთში, ჩვენთვის კარგად ნაცნობ ნესებრში, ორკვირიან შეკრებაზე 4 ივლისს 22 ფეხბურთელს წავიყვანთ. მანამდე 29 ივნისს „ბათუმს" შევხვდებით, 2 ივლისს კი — ქობულეთის „შუქურას". ორივე გუნდს გრიგოლეთის საწვრთნელ ბაზაზე ვუმასპინძლებთ.

ზღვისპირელები ნესებრში რამდენიმე საკონტროლო მატჩსაც გამართავენ.

**გიორგი გუგაძიძე**

### ფინეთი
XV ტური
კუოპიო 1:1 მიუპა

### ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატი
მერვედფინალი
აშშ 0:2 ეგვიპტე
საფრანგეთი 3:2 გერმანია
არგენტინა 2:1 ჩინეთი
ბრაზილია 4:0 ავსტრალია

### შვედეთი
XII ტური
აიკ 2:2 იორგრიტე

### ევროპის ქალთა ჩემპიონატი
A ჯგუფი. II ტური
გერმანია 5:0 რუსეთი
შვედეთი 4:0 ინგლისი

ჩემპიონთა თასი 2001-02. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი

## ლინფილდი — ტორპედო

ბელფასტი. „უინძორ პარკი". ტევადობა 28 500. 10 ივლისი

# ვიდრე ლინფილდი ლოცულობს

**ჩემპიონთა** ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე საქართველოს და ჩრდილოეთ ირლანდიის ჩემპიონების პირველი მატჩი თავდაპირველი განრიგით გათვალისწინებული 11 ივლისის ნაცვლად, შესაძლოა, ერთი დღით ადრე გაიმართოს.

„ტორპედოს" ჯერ სტუმრად, ბელფასტში უწევს ჩასვლა. ჰოდა, „ლინფილდმა" თხოვნით მიმართა უეფას, იქნებ თამაშის თარიღი შევცვალოთო. საბაბად ბრიტანელებს ის მოჰყავთ, რომ 11 ივლისს რელიგიური დღესასწაულია.

— საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მეტოქეს ანგარიში უნდა გავუწიოთ, როგორც უეფა გადაწყვეტს, ისე მოვიქცევით — გვითხრა გუშინ „ტორპედოს" ვიცე პრეზიდენტმა შედან ნანიკაშვილმა — საბოლოოდ დადგინდა, რომ ტორპედოელები „ლინფილდთან" სათამაშოდ ადგილზე ქუთაისში გააგრძელებენ წვრთნას, უცხოური შეკრებისთვის დრო არ რჩება. თუ პირველი მატჩის თარიღად 10 ივლისი დაგვიდგინეს, „ტორპედო" 8 ივლისს თბილისიდან ჩარტერული რეისით გაემგზავრება ჩრდილოეთ ირლანდიაში. ვაგვარებთ კიდეც ამასთან დაკავშირებულ ფორმალობებს.

კაცმა რომ თქვას, 10-ში იქნება თუ 11-ში, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არც აქვს, მთავარია, „ტორპედო" მომზადებული შეხვდეს უაღრესად საპასუხისმგებლო მატჩს. საქმეც აქეთკენ მიდის.

ქუთაისელები დიდ გაწამაწიაში არიან. რევაზ ძოძუაშვილი თანაშემწეების დახმარებით ფეხბურთელებს სიქას რომ აცლის, ფაქტია. ადრეც აღვნიშნეთ, გუნდი დიდი დატვირთვით, ორჯერადად, უქმეების გარეშე ვარჯიშობს. ამასთან



გიორგი შენგელია: ყველაზე სერიოზული სიახლე „ტორპედოში"

ტორპედოელები საკონტროლო თამაშებისთვისაც იცლიან. როგორც ვიტყობინებოდით, პირველი ასეთი მატჩი მათ წყალტუბოს „სამგურალთან" გამართეს და მეტოქეს უგოლოდ დაუზავდნენ.

გუშინწინ კი „ტორპედო" ზესტაფონს ესტუმრა და „მეტალურგს" გაეჯიბრა. ქუთაისელებმა ეს შეხვედრა პირველზე გაცილებით უკეთესად ჩაატარეს, რაც ანგარიშმაც ცხადჰყო — 6:1. მასპინძელთა რბევას „ტორპედოს" ახალწვეულმა მცველმა ვახტანგ აკოფიანმა დაუდო სათავე. ამას მალე ასევე მცველ ვალერი აბრამიძის ეფექტური გოლი მოჰყვა. მეორე ტაიმში მთლად ცალკარა წავიდა და ორჯერ რომან ახალკაცმა, თითოჯერ კი პაატა გვირჯიშვილმა და მიხეილ აშვეთიამ დალაშქრეს ზესტაფონელთა კარი. თავის გამოჩენა ბორის გონჩაროვსაც შეეძლო, თუმცა ორჯერ მისი დარტყმული ძელმა აისხლიტა. მასპინძელთაგან ერთი საპასუხო გოლი „კოლხეთიდან" წამოსულმა დავით ხუჭუამ მიითვალა საჯარიმოთი.

*„ტორპედომ" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გვარამაძე (სტურუა), აკოფიანი, მახვილაძე, აბრამიძე, ქემოკლიძე, თოდუა (გონჩაროვი), კ. კვეტენაძე (გამეზარდაშვილი), დიდავა, იონანიძე (ახალკაცი), აშვეთია, დ. ჯანაშია (გვირჯიშვილი).*

ძოძუაშვილმა გუშინაც დილა-საღამოს ავარჯიშა გუნდი და მოვარჯიშეთა შორის რამდენიმე ახალი ფეხბურთელიც ვიხილეთ. „სამგურალის" მეგოლე ზვიად ქუთათელაძე, ბოლო ხანს „ლოკომოტივში" ნათამაშევი გიორგი შენგელია, სიონელები შალვა ისიანი და გიორგი ირემაშვილი და ზაზა ვაჩიბერაძე, რომელსაც წინა სეზონში არსად უთამაშია.

**იუზა ბაციტაძე**
**ქუთაისიდან**



ოთარ ხიზანეიშვილმა (№18) მოსკოვური მაისურა როსტოვულზე გაცვალა

# დონი სხვა დონეა, მაგრამ შანსია

## ოთარ ხიზანეიშვილი როსტოვში სათამაშოდ წავიდა

*გუშინ რუსეთის ჩემპიონ მოსკოვის „სპარტაკის" 19 წლის ან უკვე ყოფილმა მცველმა, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრმა ოთარ ხიზანეიშვილმა როსტოვის „როსტსელმაშთან" 2 წლიანი კონტრაქტი გააფორმა და 2 ივლისიდან, მოსკოვის მახლობლად, ნოვოგორსკში შეუერთდება დონისპირულ გუნდს.*

*ოთარ ხიზანეიშვილი თბილისის „დინამოდან" „სპარტაკში" დაახლოებით ერთი წლის წინ გადაბარგდა. რუსეთის ჩემპიონატში სულ ორჯერ ითამაშა და მიუხედავად ამისა, ჩვენი რუსი კოლეგებისა და სპეციალისტების მოწონება დაიმსახურა. თუმც მერე მუხლის ტრავმამ შეაწუხა, თვე-თვენახევარი მკურნალობას მოანდომა და „სპარტაკის" ძირითადი შემადგენლობაც უკან დარჩა — მას შემდეგ ოთარ ხიზანეიშვილს რუსეთის ჩემპიონატში აღარც უთამაშია და დღემდე ის „სპარტაკის" დუბლშემადგენლობის ფეხბურთელად ითვლებოდა. გუშინდლიდან კი...*

— „როსტსელმაშის" ხელმძღვანელები მოსკოვში ორი კვირის წინაც იყვნენ ჩამოსულები — გვითხრა ოთარ ხიზანეიშვილმა გუშინვე, როცა მოსკოვში შევეხმიანეთ — როსტოველები ცალკე მე მელაპარაკებოდნენ, ცალკე „სპარტაკის" მწვრთნელ-პრეზიდენტ ოლეგ რომანცევს. მაშინ „სპარტაკმა" სტუმრები უარით გაისტუმრა და არც მე მქონია „როსტსელმაშში" გადასვლის დიდი სურვილი. საქმე ის იყო, რომ „სპარტაკს" ჩემი განათხოვრება ჰქონდა ჩაფიქრებული. მე კი სასურველ გუნდს ვეძებდი და რომანცევისთვის ნათქვამიც მქონდა, ჩემს კონტრაქტს თავადვე გამოვისყიდი-მეთქი.

**— რომანცევი რას ამბობდა?**

— ხომ ვთქვი, ჩემი გაყიდვა არ სურდა, მხოლოდ განათხოვრებაზე ლაპარაკობდა.

**— აბა, „როსტსელმაშში" როგორ აღმოჩნდი?**

— როსტოველებმა რომ ჩემი მოთხოვნა გაიგეს, მაშინვე დამიკავშირდნენ, რაც „სპარტაკში" მქონდა იმაზე კარგი პირობებიც შემომთავაზეს და მითხრეს, შენს კონტრაქტს ჩვენ გამოვისყიდით და დიდი-დიდი ერთ წელიწადში „როსტსელმაშიდან" გაგიშვებთ უკეთესს გუნდშიო.

**— და დათანხმდი.**

— დავთანხმდი და მგონი სწორადაც მოვიქეცი. ამ დილით გავაფორმე 2 წლიანი კონტრაქტი. ბევრი რომ არ ვთქვა, ვითამაშებ მაინც, „სპარტაკში" ხომ ამის საშუალება არ მქონდა.

**— რატომ? ეტყობა ვერ აკმაყოფილებდი რომანცევის მოთხოვნებს.**

— „სპარტაკს" თავისი სტილი აქვს და რომანცევი სულ ამაზე მელაპარაკებოდა, ცოტაც მოიცადე და ჩვენს თამაშს მიეჩვევიო. აგერ, წელიწადი ველოდე, „სპარტაკს" ვერ მივეჩვიე და რაღა აზრი ჰქონდა აქ დარჩენას. ისე კი, ახლაც ვგრძნობ, რომ ნორმალურ სათამაშო ფორმაში ვარ.

**— დარწმუნებული ხარ, რომ „როსტსელმაშში" ითამაშებ?**

— დიახ. ჩემს ახალ მწვრთნელ ანატოლი ბაიდაჩნის პირადად ჯერ არ შევხვედრილვარ, მაგრამ ვიცი, გადმომცეს, რომ ბაიდაჩნის ჩემზე საკმაოდ კარგი წარმოდგენა აქვს და უთქვამს, უეჭველი ძირითად შემადგენლობაში ვათამაშებო.

**— როსტოვში როდის მიემგზავრები?**

— ჯერ არა. „როსტსელმაში" ორიოდ დღეში აქეთ მოემგზავრება, მოსკოვის ახლოს, ნოვოგორსკში ბაიდაჩნიმ ერთკვირიანი შეკრება დაგეგმა და ახალ გუნდს მეც აქ დავხვდები. როსტოვში ალბათ 9 ივლისს დავბრუნდებით. 11-ში კი „ზენიტს" ვუმასპინძლებთ და მეც ვითამაშებ.

**— კიევის „დინამოში" გადასვლაზეც იყო ლაპარაკი.**

— იცით, ბაიდაჩნის გუნდის წვრთნის თითქმის ისეთივე მეთოდი აქვს, როგორიც ლობანოვსკის. თანაც ისინი მეგობრები არიან და სულაც არ არის გამორიცხული, ბაიდაჩნისთვის სწორედ კიეველებს ერჩიათ „სპარტაკიდან" ჩემი გადაბირება.

**— ესე იგი, წელიწადში, შესაძლოა, კიევის „დინამოში" ითამაშო?**

— ვნახოთ, ამის თაობაზე ჯერ ვერაფერს ვიტყვი.

**ბობა ინასარიძე**

ინტერტოტოს თასი 2001. მეორე შესარჩევი ეტაპი. პირველი მატჩი

## ტრუა — ვიტ ჯორჯია

ოსერი. „აბატ დეშანი". ტევადობა 21 000. 30 ივნისი. 23 საათი



თენგიზ კობიაშვილი

# თბილისელები ოსერს უახლოვდებიან

## პრობლემა მხოლოდ ზურგია

**ავსტრიამოვლილი** „ვიტ ჯორჯია" 25 ივნისს საფრანგეთს ეწვია. ვიტელები ქალაქ ავალონში ამავე სახელწოდების სასტუმროში დაბინავდნენ და მომდევნო დღეს პირველივე ვარჯიშიც ჩაატარეს.

განწყობა საბრძოლოა, პირობები ჩინებულიო, გვითხრა კლუბის თავკაცმა გურამ რუხაძემ. გუშინ ჯანი კარნევალიმ ორჯერ, დილა-საღამოს ავარჯიშა გუნდი. „ვიტ ჯორჯია" დღეს ერთხელაც ივარჯიშებს ავალონის საფეხბურთო ბაზაზე და მერე ტონერეში, ოსერიდან 20 კილომეტრის მოშორებით დაბინავდება.

კარნევალის გუნდში, დისკვალიფიცირებული ალექსანდრე გოგობერიშვილის გარდა, თითქმის ყველა მზადაა სათამაშოდ. ერთადერთი გამონაკლისი ცენტრალური მცველი კობიაშვილია. თენგიზს გირზკირხენში, „რიდთან" მატჩის ბოლო წუთებზე მეტოქის მუხლი ზურგში მოხვედრია და ახლა თურმე წელს იტკივებს. კობიაშვილს კარნევალი ინდივიდუალურად ავარჯიშებს და იმედოვნებს, რომ „ტრუასთან" მატჩამდე მომჯობინდება.

სანამ ვიტელები ინტერტოტოს გათამაშების მეორე ეტაპის პირველი თამაშისთვის ემზადებიან, უეფამ დისკვალიფიცირებულებს განაჩენი გამოუტანა. ჩვენებურ გოგობერიშვილს, რომელიც ავსტრიაში ორი გაფრთხილების გამო გააძევეს, უეფას დისციპლინარებმა ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია აკმარეს. გოგობერიშვილი „ტრუასთან" თბილისურ საპასუხო შეხვედრაში ითამაშებს. საოსეროდ კი კარნევალის „რიდთან" პირველ მატჩში გაძევებული ედიკ საჯაია დაუბრუნდება.

**დათო დანელია**

# მწვანე ოცნება თუ არ დაობდა

**გულზე** ხელის დადებით თუ ვიტყვით, ძალიან ცოტას ეიმედებოდა ავსტრიული „რიდის" ძლევა თბილისის „ვიტ ჯორჯიასგან", მაგრამ ჯანი კარნევალის გაწვრთნილმა გუნდმა ინტერტოტოს თასის საწყის ეტაპის გავლა შეძლო და მეორე ქართული კლუბიც შეიქნა ქუთაისის „ტორპედოს" შემდეგ, ვინც ეს მოახერხა.

შაბათს „ვიტ ჯორჯია" საფრანგეთის „ტრუას" სტუმრობს, კვირის თავზე კი თბილისში, ეროვნულ სტადიონზე უმასპინძლებს.

ობის დეპარტამენტის „ტრუა" ვიტელებს ოსერის „აბატ დეშანის" სტადიონზე დაუხვდება და, ცხადია, ქართველთა სვლის შეჩერებას შეეცდება.

„ვიტ ჯორჯიას" მწვანე (საკლუბო ფერია) ოცნება ინტერტოტოს თასის ფინალში გასვლა და იქ უეფას თასის საგზურის მოპოვებაა. საამისოდ „ტრუას" გარდა კიდევ სამი გუნდის დამარცხებაა საჭირო.

ნიონში ჯერ კიდევ 10 აპრილს გამართულმა წილისყრამ პირველ სამ ეტაპზე მეტოქენი ასე დააწყვილა: დანიის პირველი გუნდი შვედეთ-უელსის კლუბთა შორის გამარჯვებულს ელოდა. აიკმა 0:0, 3:0 დაამარცხა ევროთასების დებიუტანტი „კარმართენი" და ახლა, „ოდენსე" — აიკ-ის მოგებული ფრანგ-ქართველთაგან თავგამოჩენილს ეთამაშება.

დიდი შანსია, არ დაგვჭირდეს, მაგრამ მაინც ვიცოდეთ, „ტრუას" ძლევის შემთხვევაში ვისთან თამაში ელით ვიტელებს. ეგებ, ცოტა ხანში „ოდენსე" — აიკ-ის გამარჯვებულთან ახლოს გაცნობაც მოგვიწიოს.

**ვახტანგ შზიძაძე**

REUTERS

## ჩემპიონთა ლიგა 2001-2002

CHAMPIONS LEAGUE

| |
|---|
| I შესარჩევი ეტაპი |
| 11 ივლისი — 18 ივლისი |
| II შესარჩევი ეტაპი |
| 25 ივლისი — 1 აგვისტო |
| III შესარჩევი ეტაპი |
| 7-8 აგვისტო — 21-22 აგვისტო |
| I ჯგუფური ეტაპი |
| I ტური 11-12 სექტემბერი |
| II ტური 18-19 სექტემბერი |
| III ტური 25-26 სექტემბერი |
| IV ტური 16-17 ოქტომბერი |
| V ტური 23-24 ოქტომბერი |
| VI ტური 30-31 ოქტომბერი |
| II ჯგუფური ეტაპი |
| I ტური 20-21 ნოემბერი |
| II ტური 4-5 დეკემბერი |
| III ტური 19-20 თებერვალი, 2002 |
| IV ტური 26-27 თებერვალი |
| V ტური 12-13 მარტი |
| VI ტური 19-20 მარტი |
| მეოთხედფინალები |
| 2-3 აპრილი — 9-10 აპრილი |
| ნახევარფინალები |
| 23-24 აპრილი — 30 აპრილი, 1 მაისი |
| ფინალი |
| 15 მაისი<br>გლაზგო „ჰემპდენ პარკი“ |

## უეფას თასი 2001-2002

UEFA CUP

| |
|---|
| შესარჩევი ეტაპი |
| 9 აგვისტო — 23 აგვისტო |
| I ეტაპის წილისყრა |
| 24 აგვისტო |
| I ეტაპი |
| 13 სექტემბერი — 27 სექტემბერი |
| II ეტაპის წილისყრა |
| 28 სექტემბერი |
| II ეტაპი |
| 18 ოქტომბერი — 1 ნოემბერი |
| III ეტაპის წილისყრა |
| 2 ნოემბერი |
| III ეტაპი |
| 22 ნოემბერი — 6 დეკემბერი |
| IV ეტაპის წილისყრა |
| 12 დეკემბერი |
| IV ეტაპი |
| 21 თებერვალი, 2002 — 28 თებერვალი |
| მეოთხედფინალები |
| 14 მარტი — 21 მარტი |
| ნახევარფინალები |
| 4 აპრილი — 11 აპრილი |
| ფინალი |
| 8 მაისი |

## შვედეთი

მე-11 ტური: სუნდსვალი — აიკ 1:2; იორგრიტე — ელფსბორგი 1:1; ნორჩიოპინგი — ჰეკენი 1:1; ჰელსინგბორგი — იორებრო 2:2; იურგორდენი — გიოტებორგი 3:1; ტრელებორგი — ჰამარბი 2:3; ჰალმსტადი — მალმიო 4:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გიოტებორგი | 11 | 5 | 4 | 2 | 20:11 | 19 |
| ჰელსინგბორგი | 11 | 5 | 4 | 2 | 17:9 | 19 |
| იორგრიტე | 11 | 5 | 4 | 2 | 17:10 | 19 |
| ჰალმსტადი | 11 | 5 | 2 | 4 | 24:14 | 17 |
| ჰამარბი | 11 | 4 | 5 | 2 | 13:10 | 17 |
| იურგორდენი | 11 | 4 | 5 | 2 | 12:11 | 17 |
| ელფსბორგი | 11 | 5 | 2 | 4 | 18:19 | 17 |
| მალმიო | 11 | 5 | 1 | 5 | 16:15 | 16 |
| აიკ | 11 | 4 | 3 | 4 | 12:12 | 15 |
| იორებრო | 11 | 3 | 5 | 3 | 18:17 | 14 |
| ნორჩიოპინგი | 11 | 2 | 5 | 4 | 8:19 | 11 |
| ჰეკენი | 11 | 2 | 4 | 5 | 10:17 | 10 |
| სუნდსვალი | 11 | 2 | 3 | 6 | 7:14 | 9 |
| ტრელებორგი | 11 | 2 | 1 | 8 | 12:26 | 7 |

## ფინეთი

მე-15 ტური: ჰაკა — ჰიკ 1:1; ინტერი — ტამპერე 2:4; როპსი — ატლანტისი 4:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰაკა | 15 | 7 | 4 | 4 | 22:12 | 25 |
| ჰიკ | 14 | 6 | 6 | 2 | 21:10 | 24 |
| ტამპერე | 12 | 7 | 3 | 2 | 18:13 | 24 |
| მიუპა | 12 | 6 | 5 | 1 | 20:10 | 23 |
| ატლანტისი | 12 | 5 | 4 | 3 | 17:13 | 19 |
| ინტერი | 12 | 5 | 3 | 4 | 19:17 | 18 |
| ვაასა | 13 | 5 | 1 | 7 | 14:18 | 16 |
| კუოპიო | 12 | 3 | 5 | 4 | 6:11 | 14 |
| ლაჰტი | 11 | 3 | 2 | 6 | 9:14 | 11 |
| როპსი | 11 | 2 | 4 | 5 | 9:15 | 10 |
| იოკერიტი | 13 | 2 | 4 | 7 | 12:22 | 10 |
| ჯაზი | 11 | 1 | 3 | 7 | 6:18 | 6 |

## მერდეკას თასი

B ჯგუფი. III ტური

**უზბეკეთი 2:1 ინდოეთი**

1:0 ჰამიდულაევი (19), 2:0 ბერდიევი (32), 2:1 ვიჯაიანი (45)

**მალაიზია (U-23) 2:1 ტაილანდი**

1:0 ჯაიაპრაკაში (32), 1:1 იონგანტი (75), 2:1 რაჯანი (84)

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უზბეკეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 5:1 | 9 |
| მალაიზია (U-23) | 3 | 2 | 0 | 1 | 3:3 | 6 |
| ტაილანდი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:4 | 3 |
| ინდოეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:6 | 0 |



ფარიდ მონდრაგონი

# მონდრაგონმა სტამბოლისკენ გასწია

## საფრანგეთში პასპორტებს შემოდგომაზე ითვლიან

**კოლუმბიის** ნაკრების მეკარე ფარიდ მონდრაგონი მომავალ სეზონს სტამბოლის „გალათასარაიში“ გაატარებს.

თურქული კლუბის ხელმძღვანელებს იგი კლაუდიო ტაფარელის ღირსეულ შემცვლელად მიაჩნიათ. ამ უკანასკნელმა აშშ-ში წასვლა გადაწყვიტა, რათა იქ თავისი „ხელობით“ გარკვეული კაპიტალი კიდევ დააგროვოს.

ფარიდ მონდრაგონი შარშან “ინდეპენდიენტედან“ ფრანგულ „მეცში“ გადაბარგდა და ფრანგულ კლუბში ერთი წელი დაჰყო. 30 წლის მეკარე, ისევე როგორც მრავალი სხვა სამხრეთამერიკელი, პასპორტთან დაკავშირებულ სკანდალში გარეული აღმოჩნდა. ფრანგმა სამართალდამცავებმა მისი ბერძნული პასპორტის სიყალბე იყნოსეს და ამასთან დაკავშირებით საქმე გაიხსნა, რომლის მოსმენაც შემოდგომაზე შედგება, მანამდე კი კოლუმბიელმა მეკარემ „გალათასარაისთან“ ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

ევროპულ სარბიელზე მიღწეული თვალშისაცემი წარმატებების (უეფას თასი, სუპერთასი, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალი) მიუხედავად, გულშემატკივრები ვერ ეგუებიან მეორეობას თურქეთის ჩემპიონატში.

ახლა მათ იმედი აქვთ, რომ მონდრაგონი „გალათასარაის“ გაჩემპიონებაში დაეხმარება.

კლუბის ხელმძღვანელმა ალი დურუსტმა კონტრაქტზე ხელმოწერის შემდეგ განაცხადა, რომ მეკარეს ნაკრებში გამოძახებისას პრობლემები არ შეექმნება. „გასულ სეზონში საფრანგეთში იგი ერთ-ერთი საუკეთესო იყო, ამიტომ მას ბოლომდე ვენდობით. რაც შეეხება ნაკრებს, აქაც სრული თანხმობაა, თუმცა კლუბის ინტერესები უპირველესია. მონდრაგონი ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩებში მონაწილეობას აუცილებლად მიიღებს, ამასთან კოპა ამერიკაზე თავისი ქვეყნის ღირსებასაც დაიცავს“.

თავის მხრივ ტაფარელის შემცვლელმა დიდად აქო და აქო „გალათასარაი“. „ეს ვარიანტი ჩემთვის საუკეთესოა, ამიტომაც დავთანხმდი შემოთავაზებულ წინადადებას“ — თქვა კოლუმბიელმა მეკარემ. მან არც წინამორბედი დაივიწყა და გულშემატკივრებს შეჰპირდა, რომ უკეთესად თუ არა, ბრაზილიელის დონეზე მაინც შეძლებს „გალას“ კარის დაცვას.

მონდრაგონმა თავი კი დაიგულა უსაფრთხოდ, მაგრამ საფრანგეთში პასპორტებს შემოდგომაზე ითვლიან.

**ვაჟა ხუციშვილი**

# სად მაღაზია მეგულვის და ძირითადში ადგილი

**„მანჩესტერ იუნაიტედმა“** დაიგვიანა — როცა ინგლისის ჩემპიონი „ბარსელონას“ შეეხმიანა და ემანუელ პეტიზე ჩამოუგდო სიტყვა, აღმოჩნდა, რომ ფრანგ ნახევარმცველსა და ლონდონურ „ჩელსის“ წინასწარი კონტრაქტი უკვე გაეფორმებინათ. გუშინწინ ყველაფერი საბოლოოდ მოგვარდა: არისტოკრატებმა კატალონიელებს 7,5 მილიონი გირვანქა გადაუხადეს და 31 წლის პეტის სამწლიან და კვირაში 40-ათასიან კონტრაქტზე მოაწერინეს ხელი. ეს ჩელსელთა მესამე საზაფხულო შენაძენია ასევე ფრანგის, მცველ ვილიამ გალასისა (6,2 მილიონი) და უმცროსი ფრენკ ლამპარდის (11 მილიონი) შემდეგ. სამაგიეროდ, კლაუდიო რანიერიმ „ლესტერში“ გაუშვა კაპიტანი დენის უაიზი (1,6 მილიონი, რასაც მოგვიანებით კიდევ 500 ათასი დაემატება), ურუგვაელი გუსტავო პოიეტი კი 2 მილიონად „ტოტენჰემს“ მიჰყიდა.

გუშინწინ პეტი ლონდონში დაბრუნდა, ქალაქში, სადაც მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონს სამი სეზონი უთამაშია (ოღონდ „არსენალში“) და სადაც ფეშენებელურ მაღაზიას ფლობს. თუმცა დაბრუნების ანუ „ბარსას“ მიტოვების მთავარი მიზეზი სხვაა — ესპანეთში შარშან გადაბარგებულმა პეტიმ, ასევე არსენალელი ოვერმარსისგან განსხვავებით, ლორენს სერა ფერერის გუნდის ძირითადში ფეხი ვერ მოიკიდა და ლამის ჩასვლისთანავე განაცხადა, თუ ასე გაგრძელდა, წავალო. ასეც გაგრძელდა და აი, შედეგიც.

„ჩემი საუკეთესო პოზიცია ნახევარდაცვის ცენტრია და ეს რანიერიმ იცის — თქვა პირველ ჩელსურ პრესკონფერენციაზე პეტიმ — იმედი მაქვს, ბარსელონური არეულობა, როცა მწვრთნელი ჩემს ამპლუაზე არასდროს დამლაპარაკებია, აღარ განმეორდება. იმისაც მეიმედება, რომ კიდევ ერთ ახალწვეულ ნახევარმცველთან, ფრენკ ლამპარდთან საერთო ენას იოლად გამოვნახავ“.

ჟურნალისტებმა ფრანგ ჩემპიონს ისიც ჰკითხეს, ინგლისელ მსაჯებთან დაძაბული ურთიერთობის მოგვარებას როგორ აპირებთო. „ადრე, „არსენალში“ თამაშისას, მართლაც ხშირად მომსვლია უსიამოვნება არბიტრებთან და ორჯერ გამაძევეს კიდეც — იყო პასუხი — მაგრამ მას მერე ბევრი რამ შეიცვალა. ჩემპიონთა ლიგაში „ბარსელონას“ ორი მატჩი ინგლისელებმა იმსაჯეს და პრობლემა არ მქონია. ვიცი, რომ მსაჯობა მეტად მძიმე სამუშაოა და ვეცდები, მათ გადაწყვეტილებებს მშვიდად შევხვდე“.



ემანუელ პეტი

იმავ სამშაბათს ინგლისში კიდევ ერთი ტრანსფერი შედგა: მართალია, ნონ-ლიგის „ჰასტინგზ თაუნის“ 17 წლის მეკარე შვან ჯალალი პეტივით ცნობილი არაა, მაგრამ გლენ ჰოდლის „ტოტენჰემში“ გადასვლით ის პირველი ერაყელი ფეხბურთელი შეიქნა, პრემიერლიგაში თავის გამოჩენის საშუალება რომ მიეცა.

**გიგა ძოგახიძე**

# ჟარდელმა ნავსაყუდელი გამოიცვალა

**ჯერ იყო** და „გალათასარაის“ რუმინელი მწვრთნელი მირჩა ლუჩესკუ მარიო ჟარდელის გაშვებას არ აპირებდა, რადგან ბრაზილიელი მეგოლე ტრაბახობდა, თუ ლუბინკო დრულოვიჩს ჩამოიყვანთ, სეზონში 60 გოლს გავიტანო. ეს ტრანსფერი არ შედგა და ჰაჯის შემცვლელის ძიებაში ჟარდელს სტამბოლში დარჩენის სურვილი გაუქრა. არადა „ლომების“ რუმინელი მწვრთნელი მასზე აპირებდა გუნდის აწყობას. მერე თავად ლუჩესკუს დარჩენა-არდარჩენის საკითხი დადგა დღის წესრიგში და იგი დატოვეს. დაახლოებით ერთი კვირის წინ იმასაც ვიუწყებოდით, რომ სტამბოლელები ჟარდელს ძველ კლუბში, „პორტუში“ დააბრუნებდნენ, სანაცვლოდ კი ფულს და სამ ფეხბურთელს მიიღებდნენ.

გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, თურქული კლუბისა და „პორტუს“ ხელმძღვანელობა მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდნენ და გადაწყვიტეს, რომ ბრაზილიელი ფორვარდი... მარსელის „ოლიმპიკში“ გადავა.

დიახ, შეიძლება ითქვას, ასე მოულოდნელად დასრულდა მარიოს ამბავი. „გალათასარაის“ პირობები სავსებით მისაღები აღმოჩნდა მარსელელი ბერნარ ტაპისთვის, რომელსაც გულში დიდი გუნდის აღდგენა ამოუჭრია. მან ჟარდელის სანაცვლოდ „ოლიმპიკის“ ორი მოთამაშე, 26 წლის ჟერომ ლეროი, მასზე ერთი წლით უფროსი სებასტიან პერესი და ზედ 7 მილიონი დოლარი გაიღო. ასე რომ, ბრაზილიელი ერთი საპორტო ქალაქიდან მეორეში გადაბარგდა და იმედია, იქ მაინც პოვებს ნავსაყუდელს.

**ვაჟა ხუციშვილი**


ინფორმაცია 24 საათის განმავლობაში
ფეხბურთი, NHL, NBA
☎ 8 22 009 000, 8 22 009 001 (1წთ / 50 თეთრი)

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

იყიდება!

„ფორდი“ ტაურუსი
(1991 წლის გამოშვება)
☎ 38 45 81

# ბლატერი VS იუჰანსონი

## ომი არგენტინაში გაგრძელდება

**ამ ბოლო** დროს უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი ფიფას ხელმძღვანელს ზეპ ბლატერს გაავებით ესხმის თავს. მოგეხსენებათ, მსოფლიო ფეხბურთის შეფობიდან ლეგენდარული ჟოაო აველანჟის გადადგომის შემდეგ, შვედი და შვეიცარიელი თანამდებობისთვის ბრძოლაში დაუპირისპირდნენ და მას მერე ერთმანეთის დასაკბენად ხელსაყრელ მომენტს არ უშვებენ.



ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი და უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი

ახლა ინიციატივა იუჰანსონმა იგდო ხელთ და საგანგებო ძალის თავდასხმებს ახორციელებს. ერთ-ერთი ასეთი შტურმი მოეწყო სამშაბათსაც. საბაბი ცნობილი გახლავთ: ფიფას თვალსა და ხელს შუა გაუკოტრდა მარკეტინგული პარტნიორი, კორპორაცია ISMM/ISL.

უეფას ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ „შოკირებული და გულდაწყვეტილია“ იმით, რაც ბლატერისგან მისი ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა გერჰარდ აიგნერმა მოისმინა და მოუთხრო. ფიფას პრეზიდენტის მოსაზრებები „სრულიად მიუღებელია“ — ასე ამტკიცებს იუჰანსონი.

არადა, ბლატერს სულ სხვა რამ ჰქონდა გაცხადებული — იუჰანსონთან „ძალიან მეგობრული“ აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამომივიდაო.

შეგახსენებთ კიდევ ერთს: იუჰანსონი ორი კვირის წინ აცხადებდა, რომ ფიფას მოახლოებულ საგანგებო კონგრესზე, 6-7 ივლისს, მე და ჩემი ევროპელი კოლეგები სხვა კონფედერაციათა ხელმძღვანელებს ბლატერის წინააღმდეგ ავამხედრებთო.

ახლა იუჰანსონი ბრძანებს: „მე და ფიფას აღმასკომის სხვა ევროპელი წევრები დაგვზაფრა პრეზიდენტის რამდენიმე საჯარო განცხადებამ. მან პირდაპირ შეუტია უეფას გენერალურ მდივანს გერჰარდ აიგნერს, არადა, ის პრობლემები და კითხვები, რომლებიც ფიფას გარშემო დაგროვდა, მე და აღმასკომის სხვა ევროპელ წევრებს ძალიან გვაღელვებს. ასეთ პირობებში კი, ვფიქრობ, აქცენტის სხვა რამეზე გადატანა, თანაც პიროვნული თავდასხმის მეთოდით, სწორი არ არის. თანაც, უეფას გენერალური მდივანი სულაც არ მოქმედებს პირადი მოტივებით, მისი ყველა განცხადება ჩვენი ორგანიზაციის აღმასრულებელი კომიტეტის სტრატეგიაზეა დაყრდნობილი“.

ეს ნათქვამიც, ცხადია, ბლატერამდეც მივიდა, თუმცა ფიფას პრეს ატაშის, ანდრეს ჰერენის განცხადებით, პრეზიდენტი, ამჟამად მის კომენტირებას არ აპირებს. ბლატერი წუხელ არგენტინას გაემგზავრა, სადაც ფიფას საგანგებო კონგრესი გაიმართება.

გავიხსენოთ ისიც, რომ იუჰანსონმა ბლატერს ISMM/ISL-ის გაკოტრებასთან დაკავშირებით 25 კითხვა გაუგზავნა. საგულისხმოა, რომ ეს კორპორაცია 2002 და 2006 წლების მსოფლიოს ჩემპიონატების მარკეტინგულ უფლებებს ფლობდა და მისი ფიასკო, თავად ბლატერის აღიარებით, ფიფას 56 მილიონი დოლარი დაუჯდება.

უეფაში ფიქრობენ, რომ ბუენოს აირესში ბლატერს მათ კითხვებზე პასუხის გაცემა მოუწევს. ამბობენ, თუ კონგრესის დელეგატები პასუხებით არ დაკმაყოფილდებიან, ფიფას პრეზიდენტმა შესაძლოა, უნდობლობა დაიმსახუროსო.

იუჰანსონი ბრძანებს: „ბუენოს აირესში მე და ჩემი კოლეგები ზოგიერთი საკითხის ანალიზს ჩავატარებთ და ამის მიხედვით 11-12 ივლისს, სტოკჰოლმში, უეფას აღმასკომის სხდომაზე შესაბამის გადაწყვეტილებებს მივიღებთ. მაგრამ ამ თემაზე საუბარი ფიფასგან პასუხის მიღებამდე, ყოვლად დაუშვებლად მიმაჩნია.“

**მიხეილ სურგულაძე**

# ტულუზმა თხარა, თხარა...

## მესამე დივიზიონი გამოთხარა

**საფრანგეთის** სახელმწიფო საბჭომ „ყალბი პასპორტების საქმეში“ განაჩენი გამოიტანა. მომჩივანმა „ტულუზმა“ მხოლოდ „სენტ ეტიენთან“ დაკარგული სამი ქულა შემატა თავის აქტივს, რამაც პირველი დივიზიონის საბოლოო ცხრილი თითქმის ვერ შეცვალა და ტულუზელებიც მომავალ სეზონს ნასიონალში დაიწყებენ, რადგან გავარდნილი კლუბი ფინანსური პრობლემების გამო დამატებით კიდევ ერთი დივიზიონით დააქვეითეს.



ალენ აფელუ



ჟაკ რუბიო

„ჩვენ ევროსასამართლოში ჩივილს არ ვაპირებთ“ — განაცხადა დასჯილი გუნდის ადვოკატმა სახელმწიფო საბჭოს სხდომის შემდეგ. ასე რომ, „ყალბი პასპორტების საქმე“, ფაქტობრივად, დასასრულს მიუახლოვდა. „ტულუზმა“ კი გათამაშების ცხრილში ოდენ ერთი საფეხური მოიგო და საბოლოოდ მეთექვსმეტე გახდა „სენტ ეტიენის“ ნაცვლად, რაც პრაქტიკული თვალსაზრისით არაფერს ცვლის.

არადა, ნასიონალამდე ჩავარდნილი გუნდის საჩივარი კარგა ხნის მანძილზე ერთგვარ გაურკვევლობაში ამყოფებდა მთელ საფრანგეთს. გარონელებს თავისი რომ გაეტანათ, „ნანტის“ ნაცვლად ჩემპიონად „ლიონი“ უნდა გამოცხადებულიყო, მეორე დივიზიონში კი „სენტ ეტიენი“, „მონაკო“ და „მეცი“ უნდა გავარდნილიყვნენ. გათამაშების ცხრილის შუაშიც მოხდებოდა რამდენიმე ცვლილება. თავად „ტულუზი“ კი პირველ დივიზიონში დარჩებოდა, რადგან მისი ბიუჯეტი ამ შემთხვევისთვის იყო გათვლილი (ძირითადად პირველი დივიზიონის მატჩების ტრანსლაციის უფლების გაყიდვის ხარჯზე), დეფიციტური აღარ იქნებოდა და არც საფრანგეთის ეროვნული საფეხბურთო ლიგა დასჯიდა.

საბჭოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებით წესით „მარტიგმაც“ უნდა იხეიროს. ეს კლუბი გასულ სეზონში მეტად უხეიროდ გამოვიდა და მეორე დივიზიონში ადგილი ვერ შეინარჩუნა (მე-20). თუმცა თუ ფრანგული ფეხბურთის ჩინოსნებს „ზეპირ გასაუბრებაზე“ დაარწმუნებს, რომ არანაირი ფინანსური პრობლემა არ შეექმნება, ალბათ, სწორედ ის დაიკავებს „ტულუზის“ ადგილს მეორე დივიზიონში.

შეგახსენებთ, რომ ტულუზელები იმ მატჩებში მეტოქეთათვის მოგებების ჩათვლას ითხოვდნენ, რომლებშიც რომელიმე გუნდმა ევროკავშირელების ლიმიტი დაარღვია და ყალბპასპორტიანი ფეხბურთელები ათამაშა. მთავრობის წარმომადგენელმა იზაბელ დე სილვამ კი განაცხადა, რომ „იურისპრუდენციაში არ არსებობს პრეცენდენტი რომელიმე მატჩის შედეგის შეცვლისა, როცა ეს უკანასკნელი უკვე საბოლოოდაა დამტკიცებული“.

სწორედ ამ არგუმენტზე დაყრდნობით მიიღო გადაწყვეტილება სახელმწიფო საბჭომაც. მან „სენტ ეტიენთან“ დაკარგული სამი ქულა მხოლოდ იმიტომ დაუბრუნა „ტულუზს“, რომ ამ შემთხვევაში გარონელებს კანონით განსაზღვრულ ვადებში მოუსწრიათ პროტესტის შეტანა და იურიდიულად ყველაფერი წესრიგში იყო. ასე რომ, საჩივარი დროული რომ ყოფილიყო, სავსებით შესაძლებელია, საფრანგეთს სხვა ჩემპიონი ჰყოლოდა.

საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის ფედერალური საბჭო პირველი დივიზიონის საბოლოო ცხრილს რამდენიმე დღეში გამოაქვეყნებს. ეს დრო მას იმისთვის სჭირდება, რომ შესაძლოა, „რენს“ მეცში დაკარგული სამი ქულა დაემატოს, რადგან ამ შემთხვევაში პროტესტი ნამდვილად დროული იყო. თუმცა ეს რაიმე საინტერესო გადაადგილებებს არ გამოიწვევს.

„ტულუზისთვის“ კი საკმაოდ ცუდი პერიოდი იწყება, რადგან 20 ათასი ფრანკი, რომელიც სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებით საფეხბურთო ლიგამ უნდა გადაუხადოს მას, მის ბიუჯეტს დიდად ნამდვილად ვერ წაადგება — კლუბს ხომ ჯერ მაისის თვის ხელფასებიც კი არ დაურიგებია. აქედან გამომდინარე, იგი შეიძლება კიდევ დაისაჯოს და ნასიონალის ნაცვლად საფრანგეთის სამოყვარულო ჩემპიონატში მოუწიოს თამაში.

ალენ აფელუ, საკმაოდ ცნობილი ბიზნესმენი, ტულუზის მერის ფილიპ დუსტ-ბლაზის თხოვნით, თანახმა იყო, „იისფრებს“ დახმარებოდა და რამდენიმე ათეული მილიონი ფრანკის ინვესტიცია განეხორციელებინა. სანაცვლოდ კლუბის პრეზიდენტ ჟაკ რუბიოს საფრანგეთის სახელმწიფო საბჭოდან საჩივარი უნდა გამოეტანა. თუმცა ასე არ მოხდა და რას იზამს ბატონი აფელუ ახლა, ჯერჯერობით უცნობია. იმედია, იგი მაინც შეუამხანაგდება რუბიოს და კლუბსაც გადაარჩენენ კიდევ უფრო დაქვეითებისგან.

**გაგი გურული**




**ესპანეთის** მეორე დივიზიონის „ხერესის“ მწვრთნელად გერმანელი ბერნდ შუსტერი დაინიშნა. წარსულში ცნობილი მოთამაშისთვის ეს სამწვრთნელო დებიუტი იქნება. შეგახსენებთ, რომ შუსტერი მადრიდის „რეალის“, „ბარსელონას“, მადრიდის „ატლეტიკოსა“ და „ლევერკუზენის“ ღირსებას იცავდა, ბოლო ხანს კი იგი „ბარსელონაში“ მრჩევლად მუშაობდა. „ხერესის“ ყოფილმა თავკაცმა მასიმო ერნანდესმა კლუბი წლეულს მეორე დივიზიონში გადაიყვანა, შემდეგ კი თანამდებობა დატოვა. ესპანური სააგენტოების ცნობით, არ არის გამორიცხული, მან რომელიმე პრიმერადივიზიონური კლუბი ჩაიბაროს.

**ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა რიკ ვინკლაარმა „კამბური“ დატოვა და „ლეჩესთან“ ხუთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. 19 წლის ფეხბურთელს დიდი მომავალს უწინასწარმეტყველებენ, ახალ კლუბში პრეზენტაციისას „ლეჩეს“ დირექტორმა იგი თამაშის მანერით პატრიკ ვიეირას შეადარა. ვინკლაარს ბევრი სხვა კლუბი ეპატიჟებოდა, მათ შორის „პარმაც“, თუმცა, „კამბურის“ ხელმძღვანელობის განცხადებით, „ლეჩეს“ შეთავაზება მათთვის ყველაზე ხელსაყრელი იყო.**

**იტალიელ** მცველ ჩირო ფერარას მარსელის „ოლიმპიკი“ ეპატიჟება. გავრცელდა ცნობა, რომ ვეტერან ფეხბურთელს მეორე ფრანგული კლუბი „მონაკოც“ შეეხმიანა და კლუბის ამჟამინდელმა მწვრთნელმა და ფერარას ყოფილმა იუვენტუსელმა თანაგუნდელმა დიდიე დეშამპმა პირადად შესთავაზა მას საფრანგეთში გადასვლა. წარმოშობით ნეაპოლელმა და „ნაპოლის“ ყოფილმა მოთამაშემ შვიდი წელიწადი გაატარა „იუვენტუსში“, ცოტა ხნის წინ კი განაცხადა, არ გამოვრიცხავ, კლუბი დავტოვოო. აღსანიშნავია, რომ ფერარას მალე „იუვენტუსთან“ კონტრაქტი უსრულდება.

**გერმანელი ნახევარმცველი კრისტიან ნერლინგერი დორტმუნდის „ბორუსიადან“ „გლაზგო რეინჯერსში“ გადაბარგდა და სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. შოტლანდიურმა კლუბმა იგი 1,8 მილიონ გირვანქად იყიდა. „რეინჯერსში“ ნერლინგერი თავის ყოფილ ბორუსიელ თანაკლუბელ შტეფან კლოსთან ერთად ითამაშებს. ნერლინგერმა წლეულს „ბორუსიაში“ მხოლოდ შვიდი შეხვედრა ჩაატარა. მიუნხენის „ბაიერნის“ ყოფილი მოთამაშე უკვე კარგა ხანია, აცხადებდა, რომ დორტმუნდული კლუბის დატოვება სურდა.**

**ინგლისელმა** ნახევარმცველმა რობი ელიოტმა „ბოლტონის“ რიგები დატოვა და თავის ყოფილ კლუბ „ნიუკასლ იუნაიტედში“ თავისუფალი აგენტის სტატუსით დაბრუნდა. მისი შეძენა „ბლექბერნსაც“ სურდა, მაგრამ ელიოტმა ბობი რობსონის გუნდში თამაში ამჯობინა. 27 წლის ფეხბურთელმა, რომელსაც „ნიუკასლის“ შემადგენლობაში 74 მატჩი ჩაუტარებია, „ბოლტონში“ 4 სეზონი გაატარა. „მოხარული ვარ, რომ კვლავ მშობლიურ კლუბში დავბრუნდი“ — განაცხადა მან და სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

# მამა კანალმა შვილებიდან ერთი უნდა გამოარჩიოს

**უეფას** ზოგადი წესების მე-6 დამატებაში წერია: „აკრძალულია ერთი და იმავე ტურნირში ისეთი ორი ან მეტი კლუბის მონაწილეობა, რომელთაც ერთი და იგივე მესაკუთრე ჰყავს.“

ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემპიონთა ლიგაში ერთდროულად ვერ გამოვლენ ფოთის „კოლხეთი“ და ფოთის „კოლხეთი 2“. თუმცა აქ მარტო ფარმ-კლუბებზე არაა ლაპარაკი. მაგალითად, იგივე ფოთის „კოლხეთი“ ბატონმა სილვიო ბერლუსკონიმ რომ შეისყიდოს და ფოთელებმა ჩემპიონთა ლიგის საგზური „მილანთან“ ერთად მოიპოვონ, მაშინ იტალიის პრემიერ-მინისტრი უძნელესი არჩევანის წინაშე დადგება — რომელ კლუბს შეელიოს ან რომელი გადაისროლოს უეფას თასზე.

და რაში დაგვჭირდა ამხელა შესავალი? მით უმეტეს, რომ არც ბერლუსკონი აპირებს ქართული ფეხბურთის გაცოცხლებისთვის ფულების ფლანგვას და ვერც „მილანი“ მოხვდა ჩემპიონთა ლიგაში.

საქმე ისაა, დაახლოებით მსგავსი ვითარება შეექმნა ფრანგულ ტელეარხ „CANAL +“-ს, რომელიც ერთდროულად „პარი სენ ჟერმენისა“ და შვეიცარიული „სერვეტის“ მთავარი აქციონერია. „სერვეტმა“ თავის ჩემპიონატში უეფას თასის საგზური მოიპოვა, პსჟ კი ესპანური გუნდების მიერ ინტერტოტოზე უარის თქმის შემდეგ ამ ტურნირში დაუშვეს.

როგორც მოგეხსენებათ, ინტერტოტოს გამარჯვებულები უეფას თასზე თამაშის უფლებას იბევებენ და პსჟ-მ ორი ეტაპი რომ გაიაროს, წერილის დასაწყისში ნახსენები წესი ამოქმედდება.

„ჯერჯერობით უეფას თასზე არ გავსულვართ. თუ ეს მოვახერხეთ, მერე უნდა ვნახოთ, „CANAL +“ კიდევ იქნება თუ არა „სერვეტის“ მთავარი აქციონერი“ — ამბობს პარიზული კლუბის ოფიციალურ საინტერნეტო გვერდზე პრეზიდენტი ლორან პერპერი.

„რადგან ჩვენ ინტერტოტოში მონაწილეობას დავთანხმდით, ეს ნიშნავს, რომ გადაწყვეტილება კარგად ავწონდავწონეთ“ — ამატებს პსჟ-ს გენერალური დირექტორის მოადგილე ლიონელ დრექსლერი.

ასეა თუ ისე, პარიზელებმა ფინური „ჯაზი“ რომ გამოაგდონ, რომელსაც ტულუზში დაუხვდებიან და საბოლოოდ უეფაზე მაინც ვერ გავიდნენ, წაგებულები არ დარჩებიან. იმიტომ, რომ ჩემპიონთა ლიგაში „გალათასარაისთან“ მომხდარი უწესრიგობების გამო, მათი „პარკ დე პრენსი“ ორი მატჩითაა დისკვალიფიცირებული და პსჟ-ს სტადიონს ინტერტოტო სასჯელის მოხდაში მაინც დაეხმარება.

**გაგი გურული**

იყიდება!
ნახმარი
კომპიუტერული ტექნიკა
ტელ. 38-11-14, 39-48-29

იყიდება
ვიოლინო, ზომა 3/4.
ტელ: 33-27-36

# არის ინძაგი!

## მილანს ახლა რუი კოშტაც მოუნდა



ფილიპო ინძაგი ხუთი წლით მილანელია

**უკვე** ყოფილი ატალანტელები, კრისტიან ძენონი და მასიმო დონატი, ალავესელები — კოზმინ კონტრა და ხავი მორენო, ინდეპენდიენტელი ფაბრიციო კოლოჩინი, ბასტიელი სირილ დომორო და თბილისში ნამყოფნი, იტალიის ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველ-თავდამსხმელი ნიკოლა კორენტი და მასიმო მაკარონე, ახალი სეზონიდან „მილანის“ ღირსებას დაიცავენ. გუშინწინ ღამით კი მილანელი გახდა იუვენტუსელი ფილიპო ინძაგი, რომლის სანაცვლოდ „მილანი“ ტურინელებს 30 მილიონ დოლარს გადაუხდის. ეს ყოველივე, როგორც გითხარით, გუშინწინ ღამით გადაწყდა, როდესაც „მილანისა“ და „იუვენტუსის“ გენერალური დირექტორები — ადრიანო გალიანი და ანტონიო გირაუდო უკვე საბოლოო მოლაპარაკებისთვის მიუსხდნენ მაგიდას. ფილიპო ინძაგიმ გუშინ კომოში სამედიცინო შემოწმებაც გაიარა და „მილანთან“ ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მისი წლიური ხელფასი 4 მილიონი დოლარი იქნება.

„შეგიძლიათ საქვეყნოდ განაცხადოთ, ფილიპო ინძაგი „მილანის“ ფეხბურთელია. „იუვენტუსთან“ მოლაპარაკებები ჩვენდა სასიკეთოდ დავასრულეთ — უთხრა ხაგანგებო პრესკონფერენციაზე ჩვენს იტალიელ კოლეგებს ადრიანო გალიანიმ და დასძინა — ინძაგის სანაცვლოდ „იუვენტუსი“ 30 მილიონ დოლარს მიიღებს, ანტონიო გირაუდოსთან ასე შევთანხმდით“.

ერთი სიტყვით, ფილიპო ინძაგი „მილანის“ ფეხბურთელია. „როსო-ნერის“ თავკაცს, თურქ ფათიჰ თერიმს კი ძალიან სურს, ოცნება რეალობად აქციოს და „ფიორენტინას“ პორტუგალიელი პლეიმეიკერი მანუელ რუი კოშტა წაჰგვაროს.

ვერ გეტყვით, აისრულებს თუ არა თერიმი ოცნებას და გახდება თუ არა რუი კოშტა „შავ-წითელი“, მაგრამ ფაქტია, ფლორენციულ კლუბს ცუდი დროება უდგას. „ფიორენტინას“ პრეზიდენტ ვიტორიო ჩეკი გორის, კლუბის ლიდერების — ფრანჩესკო ტოლდოს, მანუელ რუი კოშტას, ენრიკო კიეზას, ნუნუ გომეშისა და მორენო ტორიჩელის გაყიდვა განუზრახავს. მიზეზად არასახარბიელო ფინანსურ მდგომარეობას ასახელებენ, „ფიორენტინას“ ტიფოზებმა კი კლუბის ოფისს ალყა შემოარტყეს, ჩანაფიქრს თუ განახორციელებთ...

შეიტყო თუ არა ჩეკი გორის ზრახვანი, გალიანი მას უმალ შეეხმიანა, რუი კოშტა და ნუნუ გომეში 30 მილიონად დამითმე, ხურდაში კი ჩემს ფეხბურთელებს მოგცემო. რამდენი მოთამაშე იგულისხმა ბერლუსკონის მარჯვენა ხელმა, უცნობია, მაგრამ როგორც იტალიელმა ჟურნალისტებმა გააცხადეს, ერთ-ერთი მათგანი ხორვატი ნახევარმცველი ზვინიმორ ბობანი იქნება.

ისევ ინძაგის მივუბრუნდეთ. „სუპერპიპოში“ გადახდილი თანხა რომ „ამოიღოს“, „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტს ორი თავდამსხმელის გაყიდვა განუზრახავს. 32 წლის გერმანელი ოლივერ ბირჰოფი და ახალგაზრდა ჯანი კომანდინი — აი, სწორედ ამ ორის სანაცვლოდ აპირებს გალიანი ხელის მოთბობას. გასათვალისწინებელია ბირჰოფის სურვილიც. მას თურმე კარლო მაცონე ეპატიჟება „ბრეშაში“ და არც თავად გერმანელია წინააღმდეგი — რობერტო ბაჯოს გვერდით თამაში ერთობ სასიამოვნოაო. კომანდინის კი, სავარაუდოდ, „უდინეზე“ გადაიბირებს. უდინელთა ახალმა მწვრთნელმა, ბრიტანელმა როი ჰოჯსონმა უკვე გამოთქვა სურვილი, 24 წლის კომანდინი თავის გუნდში იხილოს.

... ფილიპო ინძაგიმ „იუვენტუსის“ შავ-თეთრი მაისურით ოთხ სეზონში 83 ბურთი გაიტანა, სამი წლის წინ „სკუდეტოც“ მოიგო. მანამდე „პარმასა“ და ატალანტაშიც“ წაიბურთავა. ახლა კი, კიდევ ერთი სუპერკლუბი. როგორც აპენინებზე ამბობენ, თერიმს შევჩენკო-ინძაგის სახით თავდასხმაში მშვენიერი დუეტი ეყოლება. ვნახოთ...

**გიორგი ჭუჭაძიძე**



გაისკა მენდიეტა

# მენდიეტა გინდათ? გადაიხადეთ 50 მილიონი $

**შარშან** კლუბის უპირველესი მეგოლე კლაუდიო ლოპესი, წლეულს ორგზის ჩემპიონთა ლიგის ფინალისტი მწვრთნელი ექტორ რაულ კუპერი. ახლა კი კაპიტან გაისკა მენდიეტას შესაძლო წასვლა. ეს უკვე მეტისმეტია, ვარსკვლავთა ყიდვის ამგვარი გეზი „ვალენსიას“ კარგს არაფერს მოუტანს.

გაყიდა ლოპესი „ვალენსიამ“ და მის ნაცვლად კარეუ მოიყვანა. დაგვეთანხმებით, ამგვარი როქიდან წაგებული მხოლოდ „ვალენსია“ დარჩა. სეზონის ბოლოს კუპერმაც გაიხურა კარი, ესპანურ კლუბს კი ნაკლებად განთქმული რაფაელ ბენიტესი, „ტენერიფეს“ მწვრთნელი ჩაუდგა სათავეში. -ვაცალოთ, იქნებ გაამართლოს კიდეც, მაგრამ მწვრთნელს თუ მაღალი კლასის ფეხბურთელი არ დაახვედრე, დიდი მიზნებისთვის ბრძოლა უაზრობაა.

საოცარია, თუმცა ეტყობა, „ვალენსიას“ ხელმძღვანელობა ამას არად დაგიდევს, ანაც იმ ორმოცდაათი მილიონი დოლარითაა მოხიბლული, მადრიდის „რეალი“ რომ სთავაზობს. გაისკა მენდიეტაში სამეფო კლუბი სწორედ ამდენს იხდის. „ორმოცდაათ მილიონად, კი ბატონო, წაიყვანეთ, მენდიეტა თქვენია“ — ამბობს კლუბის პრეზიდენტი პედრო კორტესი.

არადა, „რეალი“, ვიცით, გადამხდელია. კარგად გვახსოვს შარშანდელი ამბავი, რომლის მთავარი გმირები სამეფო კლუბი, კატალონიური „ბარსელონა“, პორტუგალიელი ლუიშ ფიგუ და სარეკორდო ორმოცდათექვსმეტი მილიონი დოლარი იყვნენ. იცოცხლეთ, კარგია, მენდიეტა „რეალში“, რაულის, რობერტო კარლოსის, ფიგუს გვერდით, მაგრამ „ვალენსიას“ რაღა? — ორმოცდაათი მილიონი, მაგრამ გაურკვეველი მომავალი.

კიდევ უფრო საკვირველია, რომ კორტესს კაპიტანი ეთმობა, ხოლო დანარჩენებს, სხვა კლუბებისგან მომხიბლალთ, გულმოდგინედ ებღაუჭება. კარის დარაჯმა სანტიაგო კანისარესმა და თავდამსხმელმა ვისენტემ, როგორც კი შესაძლო წასვლაზე ალაპარაკდნენ, უმალ ხეირი ნახეს. კლუბმა მათ გასამრჯელო გვარიანად გაუზარდა. ვისენტეს ესპანური გრანდები — „რეალი“ და „ბარსელონა“ ეპატიჟებოდნენ. „ვალენსია“ სანაცვლოდ თერთმეტ მილიონ გირვანქას და დამატებით სავიოს ლებულობდა „სამეფო კლუბისგან,“ ხოლო კატალონიელები ფეხბურთელში თვრამეტი მილიონის გადახდას აპირებდნენ.

კორტესმა ვისენტე და კანისარესი გუნდიდან არ გაუშვა. მიუხედავად იმისა, რომ ორივეს ტრანსფერზე საკმაოდ მოითბობდა ხელს. კაპიტანს კი დიდძალი თანხის საფასურად გუნდიდან წასვლის ნება დართო.

რას ფიქრობენ ვალენსიელები, არ ვიცით, მაგრამ თუ მენდიეტა წავიდა, მისი სრულფასოვნად შემცვლელი საკმაოდ ძნელი და ძვირი საშოვნელი იქნება.

ლაპარაკი მენდიეტას დარი ოსტატის შეძენაზე ჯერ არ გვსმენია. ვიცით მხოლოდ, რომ „ვალენსია“ იუგოსლაველი თავდამსხმელი დარკო კოვაჩევიჩის ყიდვითაა დაინტერესებული.

ესპანელები ტურინის „იუვენტუსს“ მასში ცამეტმილიონნახევარს სთავაზობენ. ტურინელი დარკო კოვაჩევიჩი ძირითადად სათადარიგოთა რიგებს ამშვენებდა, ვაცალოთ, რა ვიცით, იქნებ დარკო „ვალენსიაში“ გაიხსნას. მაგრამ იმ ამბისა, რომ „ვალენსიას“ საქმე კარგად მიდის, რაღაც არ გვჯერა.

აბა, სად ლოპესი და სად კარეუ? სად კუპერი და სად ბენიტესი? სად მენდიეტა და სად კოვაჩევიჩი?

**გიორგი გამარდაშვილი**

# ატალანტამ მეკარე გაყიდა და იყიდა



ივან პელიცოლი

**„რეჯინას“** მეკარე მასიმო ტაიბი ახალ სეზონს ბერგამოს „ატალანტაში“ დაიწყებს. ოთხშაბათს მან ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. შეგახსენებთ, რომ ტაიბი ცოტა ხნით „მანჩესტერ იუნაიტედის“ კარსაც იცავდა, თუმცა ინგლისში დიდ წარმატებას ვერ მიაღწია და მალევე დაბრუნდა სამშობლოში.

„რეჯინა“ წლეულს სერია B-ში დაქვეითდა, ტაიბიმ კი ქვედა ლიგაში თამაში აღარ ისურვა და ბერგამოელთა წინადადებას მალევე დათანხმდა. სააგენტოებისთვის ჯერჯერობით უცნობი რჩება, რამდენი გადაიხადა მის სანაცვლოდ ახალმა კლუბმა.

„ატალანტამ“ კი მას შემდეგ დაიწყო ახალი მეკარის ძებნა, რაც კლუბის ახალგაზრდა გოლკიპერმა ივან პელიცოლიმ „რომასთან“ წამოიწყო მოლაპარაკება. ეს საკითხიც რამდენიმე დღის წინ გადაწყდა. იტალიის ჩემპიონმა ბერგამოელთა კარის დარაჯი 6 მილიონ დოლარად შეიძინა და „ატალანტაში“ მცველი ალესანდრო რინალდიც გაუშვა.

„ახალი სეზონის დაწყებას მოუთმენლად ველი. ვიცი, რომ უდიდესი პასუხისმგებლობა დამეკისრა, მაგრამ ყოველმხრივ ვეცდები, ისეთ დონეზე ვითამაშო, როგორც იტალიის ჩემპიონთა კარის დარაჯს შეეფერება“ — განაცხადა 20 წლის პელიცოლიმ.

# ალექსანდროული ამბავი

**მოლდოვის** 21 წლამდელთა ნაკრების მწვრთნელი ალექსანდრუ სპირიდონი გუშინ ეროვნული გუნდის დამრიგებლად დაინიშნა. ქართველებისა არ იყოს, მოლდოველებმაც ქვეყნის მთავარი გუნდი ახალ მწვრთნელს სამი შესარჩევი მატჩით ჩააბარეს. „მსოფლიოს ჩემპიონატის სამ დარჩენილ შესარჩევ მატჩს ჩავატარებთ და მერე ვნახოთ, თუ საქმე კარგად წავიდა, ფედერაციასთან კონტრაქტსაც გავაფორმებ“ — თქვა 41 წლის სპირიდონმა, ვინც ამ პოსტზე ალექსანდრუ მაციურა შეცვალა.

შეგახსენებთ, რომ მაციურა მას შემდეგ გადადგა, რაც მოლდოველებმა გიოტებორგში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში შვედებთან 0:6 წააგეს და შვიდ მატჩში ქართველებივით სამი ქულით ბოლო ადგილზე არიან.

მოლდოვის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა პაველ ჩობანუმ ადგილობრივ მედიას უთხრა, რომ ნაკრების ნამდვილი მწვრთნელი შესარჩევი ციკლის მერე დაინიშნება, მანამდე ამ სპირიდონის გარჯას შევხედავთო.

სექტემბერში მოლდოველები აზერბაიჯანსა და სლოვაკეთს, ოქტომბერში კი თურქებს გაეჯიბრებიან.

**სოლომონ გულისაშვილი**

# ხომ გეუბნებოდით!

## ვან გაალი ბარსელონას არგენტინიდან შეეხმიანა

**ლუის ვან გაალმა** „ბარსელონას“ არგენტინიდან შეუთვალა, ხომ გეუბნებოდითო.

განვმარტოთ: ლუის ვან გაალი ჰოლანდიის ეროვნული გუნდის გარდა ჭაბუკ „ნარინჯისფრებსაც“ წვრთნის და ნაკრები არგენტინაში, მსოფლიოს ჩემპიონატზე ჰყავს წაყვანილი. „ბარსელონას“ განმარტება არ სჭირდება. ახლა მთავარსაც მივადექით — რას უებნებოდა ვან გაალი კატალონიელებს. რას და, ხუან რომან რიკელმესგან მარადონა დადგება და დროზე იყიდეთ, სანამ ეს ამბავი მარტო მე ვიციო. და როდის ეუბნებოდა განთქმული ჰოლანდიელი მწვრთნელი ამას? როცა „ბარსელონაში“ მუშაობდა.

ახლა ისიც ვთქვათ, რატომ გაიხსენა ვან გაალმა ეს ამბავი.

„ბარსელონამ“ ორი დღის წინ თვრამეტ მილიონ დოლარად ბრაზილიელი ჯოვანი იყიდა. აწ უკვე ყოფილი კრუზეიროელი სამშობლოში მოთამაშეთაგან ყველაზე ნიჭიერ ფეხბურთელად ითვლება და ვან გაალის ნათქვამიც ამ ტრანსფერის კომენტარია, ჯოვანი ძალიან კარგი მოთამაშეა, მაგრამ მასში ამდენის გადახდა თუ შეეძლოთ, რიკელმე ეყიდათო. შევნიშნოთ, რომ „ბარსელონას“ „ბოკა ხუნიორსთანაც“ აქვს მოლაპარაკება რიკელმეს გადაბირების თაობაზე.

უფრო რომ დავაზუსტოთ, ვან გაალი კონკრეტულად რიკელმესა და ჯოვანის შორის კი არ აკეთებს არჩევანს, არამედ არგენტინელ და ბრაზილიელ ფეხბურთელებს შორის. „სამხრეთამერიკელ ფეხბურთელებთან მიმუშავია და ამიტომაც ვიცი — თქვა ჰოლანდიელმა — ბრაზილიელები უფრო ტექნიკურები არიან, მაგრამ ყველა სხვა კომპონენტში ჩამორჩებიან არგენტინელებს. არგენტინელები დისციპლინის მოყვარულნი არიან, გუნდის ინტერესებს პირადულზე მაღლა აყენებენ და მოედნის ხედვაც უკეთესი აქვთ“.

სხვათა შორის, ლუის ვარ გაალი ამ დასკვნამდე ჯერ კიდევ მაშინ მისულა, როცა წინა სეზონში, „ბარსელონაში“ მუშაობისას, რივალდომ უთხრა, ფლანგზე თამაში არ მსურს, ცენტრში დამაყენეო. გავიხსენოთ, ამას რაც მოჰყვა. მწვრთნელმა ის სათადარიგოთა სკამზე დასვა და სანამ ბოლოში არ მოახდევინა, იქვე დატოვა.

„ბარსელონასა“ და რიკელმეს ურთიერთობაზეც გავიხსენოთ და ახალიც ვთქვათ. რამდენიმე კვირის წინ ფაქტობრივად გადაწყვეტილი იყო, რომ რიკელმე ესპანეთში გადაბარგდებოდა. როცა წინასწარი შეთანხმება გაფორმებულია, თითქოს რაღა უნდა სათუო, მაგრამ იმასაც ვწერდით, რომ „ბოკა ხუნიორსმა“, საკმაოდ ბუნდოვანი მიზეზებით, შეთანხმება ჩაშალა.

რიკელმე ამბობს: „ჩემმა აგენტმა მარკოს ფრანკიმ კატალონიელებთან ხუთწლიან წინასწარ კონტრაქტს მოაწერა ხელი. ცხადია, ერთ-ერთი მხარე „ბოკა ხუნიორსიც“ იყო. ახლა კი „ბოკას“ ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ არანაირი შეთანხმება არ ყოფილა. გაოგნებული ვარ. ვთხოვე, დავსხდეთ და ყველაფერი გავარკვიოთ-მეთქი, მაგრამ არ ისურვეს. რაღაც უცნაური რამ ხდება“.

გუშინ „ბოკა ხუნიორსმა“ ლიბერტადორესის თასის ფინალი ითამაშა და არაა გამორიცხული, ეს მატჩი რიკელმესთვის უკანასკნელი იყოს — ცხადია, „ბოკას“ მაისურით. ეს ცნობა არგენტინულმა გაზეთმა „კლარინმა“ გაავრცელა და თავად ფეხბურთელი დაიმოწმა.

საინტერესოა, რომ „ბოკა“ სიახლის დანერგვას აპირებს, რომლის ერთადერთი მიზანიც ისაა, ფეხბურთელებს ხელფასი არ გადაუხადოს. კლუბში გადაუწყვეტიათ, კარგი იქნება, თუ გულშემატკივრებისგან შემოწირულებებს ავკრებთ და ხელფასების ფონდს ამით შევავსებთო.

რიკელმემ, რომელსაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხელმძღვანელობასთან ისედაც დაძაბული ურთიერთობა აქვს, კლუბის სურვილს უნამუსობა უწოდა: „ქომაგები ისედაც ბევრ ფულს გვიხდიან, ბილეთებში გადახდილს ვგულისხმობ, ხელმძღვანელობა კი ისეთ გადაწვეტილებებს იღებს, თამაშის სურვილს მიკარგავს, არადა, „ბოკა“ ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს“.

რიკელმეს ამბავი ასეთია და რაკი „ბარსელონას“ ხსენებაც მოგვიხდა, ერთიც აღვნიშნოთ: „ბარსას“ ვიცე-პრეზიდენტმა ხაიმე ლაურადომ თანამდებობიდან წასვლის თაობაზე განაცხადა. მიზეზი ჯერჯერობით არ გაუმხელია. ცნობილია, რომ პრეზიდენტი ხუან გასპარი მის დატოვებას ეცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და სავარძელი ფელიქს მილეტს ჩააბარა.

**გიორგი დარჯანია**



ხუან რომან რიკელმეს (მარჯვნივ) გული „ბარსელონისკენ“ მიუწევს

40° Copa América

Colombia 2001

11 al 29 de julio

# კოპა ამერიკა ველურ კოლუმბიაში

**თერთმეტ ივლისს** კოლუმბიაში სამხრეთამერიკელთა უპირველესი სანაკრებო ტურნირის, კოპა ამერიკას გათამაშება იწყება. მასპინძელთა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნიკოლას ლეოსმა განაცხადა, რომ კოლუმბია მზადაა ჩემპიონატისთვის. მართალია, ქვეყანაში ყველაფერი მთლად რიგზე ვერაა, მაგრამ ფეხბურთელებს საფრთხე არ ემუქრებათ. თამაშებისა და საერთოდ ტურნირის უსაფრთხოებისთვის ქვეყნის შეიარაღებული ძალები, დაახლოებით ოციათასამდე კაცი იზრუნებს.



ერნან მეჯია კამპუსანო

სამხრეთამერიკელები ბოლო დროს ბევრს ბჭობდნენ, ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყნის თაობაზე. ადრევე დასახელებული კოლუმბია სანდოდ არ ეჩვენებოდათ. ამ აზრს კოკაინის სამშობლოში გამეფებული ქაოსი და კრიმინალთა უმართავობა განაპირობებდა. კოლუმბიაში ნარკობიზნესის გარდა, ადამიანთა გატაცებაც სარფიან საქმედ ქცეულა. შეიძლება ითქვას, ქვეყანა ამგვარი რამეების ერთგვარი რეკორდსმენიცაა. მარტო შარშან გამტაცებლებმა სამიათას შვიდასი კაცი გააქრეს. ქვეყანას ამბოხებულებიც გვარიანად აწიოკებენ. ოცდაჩვიდმეტი წელია, რაც აქ თანამოძმენი ერთმანეთს ჟლეტენ. ბოლო ათწლეულში საერთო არეულობამ ორმოცი ათასი სიცოცხლე იმსხვერპლა.

მოდი და ასეთ ქვეყანაში მშვიდად აგორე ბურთი. მართალია, ოფიციოზი ირწმუნება, რომ ჩემპიონატი მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ჩატარდება, მაგრამ ვის აქვს ამის სრული გარანტია? მით უმეტეს, რომ გათამაშების სამი მასპინძელი ქალაქი: ბოგოტა, კალი და მედელინი სულ მცირე ხნის წინ, მაისში, ტერორისტთა სამიზნედ იყო ქცეული. აფეთქებებმა თორმეტი ადამიანი შეიწირა და ორასი დასახიჩრდა.

თითქოს ეს არ კმაროდა და გუშინწინ შეიარაღებულმა პირებმა კოლუმბიის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ერნან მეჯია კამპუსანო გაიტაცეს. გამტაცებლებმა კამპუსანოს რისარდასა და ჩოკოს პროვინციების საზღვარზე, ქვეყნის შუაგულში, ამბოხებულთა მიწაზე ჩაავლეს და უცნობი მიმართულებით გააქანეს. ეს ჩვეულებრივი ამბავია. კამპუსანოს გატაცება არავის გაჰკვირვებია, ამიტომაც ქვეყნის მთავრობა აცხადებს, რომ ფაქტს კოპა ამერიკასთან არავითარი კავშირი არა აქვს: „ადგილი, სადაც გატაცება მოხდა, ჩვენს მიერ არ კონტროლდება, აჯანყებულებმა გამოსასყიდის გამო კიდევ ერთი ადამიანი გაიტაცეს.

ბოლო ხანებში აქ ოცამდე ამგვარი შემთხვევა მოხდა. კამპუსანოს საქმეც ერთ-ერთია და კოპა ამერიკის გათამაშების ჩაშლის მიზნისგან საკმაოდ შორსაა“.

კოლუმბიაში მასპინძელთა გარდა თერთმეტი ეროვნული გუნდი ითამაშებს. მათ შორის ფავორიტები და ვარსკვლავებით დახუნძლული არგენტინისა და ბრაზილიის ნაკრებებიც იქნებიან. ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო, სწორედ ამაზეა ნათქვამი. რომელი მარჯვე, მუქთა ფულის შოვნასა და რისკს დაჩვეული კოლუმბიელი იტყვის უარს მილიონებით გამძგილ ფეხბურთელზე. შესაძლოა, უკვე ამგვარი რამ სადღაც აჯანყებული ოფიცრისა თუ სერჟანტის საველე ოთახშიც იგეგმება. არგენტინის საელჩომ მიიღო კიდეც მუქარით სავსე ანონიმური წერილი. სავარაუდოა, რომ წერილი მდგომარეობის დაძაბვის მიზნით უფროა დაწერილი, ვიდრე არგენტინელთა ზიზღის გამო.

არგენტინელები ტერორისტების მიერ ახლახან დაწიოკებულ ქალაქ მედელინში დაიდებენ ბინას. კოლუმბიის პრეზიდენტი ანდრეს პასტრანა მათ და სხვებსაც უსაფრთხოების სრულ გარანტიებს აძლევს. სამხრეთამერიკელებს კი კოლუმბიის იქით გზა არა აქვთ. კოპა ამერიკის წლევანდელი გათამაშების ორგანიზატორებმა საფრთხე ძალიან გვიან იგრძნეს. კოლუმბიის მასპინძლობის დაწუნება ნამდვილად უდროო აღმოჩნდა, რადგან კონტინენტის ჩემპიონატისთვის მომზადებას მცირე დროში ვერც ერთი ქვეყანა ველარ ასწრებდა. აბა, რაღა უნდა ექნათ, კოპა ამერიკას ხომ არ ჩაშლიდნენ? ამიტომაც ბურთი და მოედანი კოლუმბიელებს დარჩათ.

**გიორგი გამარდაშვილი**



# აბა, პასპორტი მაჩვენე!

## ვერონს ბებიამისისა არ დაუჯერეს და გაამართლეს

**იტალიური** პასპორტების საქმეც გასრულდა და ვინძლო რუბრიკის დახურვაც მალე მოგვიხდეს. გუშინ საგანგებო კომიტეტის საბოლოო სხდომაზე საბოლოოდ ითქვა: ლაციოელი ხუან სებასტიან ვერონი გამართლებულია, „ინტერის“ ალვარო რეკობა, მილანელი ნელსონ დიდა, რომაელები — ფაბიო ჟუნიორი და გუსტავო ბარტელტი, ვიჩენცელი ჯედა და დედე და ოთხიც უდინეზელი (მათ შორის, ვარლეიც, რომლის პასპორტით დაიწყო ეს ამბავი), ერთწლიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯნენ.

იმთავითვე ცხადი იყო, რომ აღნიშნულ ფეხბურთელთა კლუბებიც ვერ გადაურჩებოდნენ სასჯელს და მიიღეს კიდეც. დაჯარიმდნენ: „ინტერი“ — 891 200, „რომა“ — 668 400, „უდინეზე“ — 1,34 მილიონი, „ვიჩენცა“ და „მილანი“ — 445 600 და „ლაციო“ — 891 200 დოლარით.

მკითხველს გაუჩნდება კითხვა: თუ ვერონი უდანაშაულოა და მართლაც ჰყავდა იტალიელი ბებიის ბებია, როგორც ამტკიცებდა, რატომ ჯარიმდება მისი კლუბი.

საქმე ის გახლავთ, რომ პროკურორმა კარლო პორჩედუმ არგენტინელი ფეხბურთელის თანამონაწილეობა პასპორტის გაყალბების საქმეში ვერ დაამტკიცა, თორემ არანაირი იტალიელი ბებია ბუნებაში რომ არ არსებობდა, იოლად დაასაბუთა. მოკლედ, ოფიციალური ვერსიით, რომაულმა კლუბმა ისე გამოუჩხრიკა ვერონს არარსებული იტალიელი ბებია, ფეხბურთელი აზრზე არ ყოფილა. დაკვირვებული ადამიანი მაშინვე შენიშნავს, რომ ამგვარ ვერსიას ხარვეზი აქვს, ვერონმა თუ არ იცოდა ბებიის ამბავი, აბა, ვის უნდა სცოდნოდა, მაგრამ იურისპრუდენციაში ხშირად რაღაც იცი, ლოგიკა გკარნახობს, რომ ასეა, მაგრამ საბუთთა უქონლობის გამო ვერ ამტკიცებ. მხოლოდ ვარაუდი კი დასასჯელად არ კმარა.

ჰოდა, აქედან გამომდინარე, ვერონის საქმეში ერთადერთ დამნაშავედ „ლაციოს“ აღმასრულებელი დირექტორი ფელიჩე პულიჩი სცნეს და საფეხბურთო საქმეებს ერთი წლით ჩამოაშორეს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ლაციო“ ჯარიმასაც გადაიხდის.

რომაელთა პრეზიდენტმა სერჯო კრანიოტიმ თქვა: „ვერონისთვის გამმართლებელი განაჩენის გამოტანის გამო კმაყოფილი ვარ. სრულიად სამართლიანი გადაწყვეტილებაა და სხვაგვარად შეუძლებელიც იყო — რაც არ დაუშავებია, როგორ უნდა დაემტკიცებინათ. თუმცა, მეორე მხრივ, იმედგაცრუებული და გაოგნებული ვარ. ჩვენი მეგობარი ფელიჩე პულიჩი როგორღაც გახვიეს ამ საქმეში, მაგრამ ეჭვიც არ მეპარება, რომ ის უდანაშაულოა, რის დამტკიცებასაც გასაჩივრებით ვეცდებით“.

ხუან სებასტიან ვერონი გამოძვრა, სხვებმა იკითხონ.

**გიორგი დარჯანია**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# პრემიერლიგა 2001-2002

**18 აგვისტო, 2001**

ჩარლტონი - ევერტონი
ჩელსი - ნიუკასლი
დერბი - ბლექბერნი
ლიდსი - საუთჰემპტონი
ლესტერი - ბოლტონი
ლივერპული - ვესტ ჰემი
მანჩესტერი - ფულემი
მიდლსბრო - არსენალი
სანდერლენდი - იფსვიჩი
ტოტენჰემი - ასტონ ვილა

**21 აგვისტო, 2001**

არსენალი - ლიდსი
ბოლტონი - მიდლსბრო
იფსვიჩი - დერბი

**22 აგვისტო, 2001**

ასტონ ვილა - ჩარლტონი
ბლექბერნი - მანჩესტერი
ევერტონი - ტოტენჰემი
ფულემი - სანდერლენდი
ნიუკასლი - ლესტერი
ვესტ ჰემი - ჩელსი

**25 აგვისტო, 2001**

არსენალი - ლესტერი
ასტონ ვილა - მანჩესტერი
ბლექბერნი - ტოტენჰემი
ევერტონი - მიდლსბრო
ფულემი - დერბი
იფსვიჩი - ჩარლტონი
ნიუკასლი - სანდერლენდი
საუთჰემპტონი - ჩელსი
ვესტ ჰემი - ლიდსი

**27 აგვისტო, 2001**

ბოლტონი - ლივერპული

**8 სექტემბერი, 2001**

ჩარლტონი - ფულემი
ჩელსი - არსენალი
დერბი - ვესტ ჰემი
ლიდსი - ბოლტონი
ლესტერი - იფსვიჩი
ლივერპული - ასტონ ვილა
მანჩესტერი - ევერტონი
მიდლსბრო - ნიუკასლი
სანდერლენდი - ბლექბერნი
ტოტენჰემი - საუთჰემპტონი

**15 სექტემბერი, 2001**

ასტონ ვილა - სანდერლენდი
ბოლტონი - საუთჰემპტონი
ჩარლტონი - ლიდსი
დერბი - ლესტერი
ევერტონი - ლივერპული
ფულემი - არსენალი
იფსვიჩი - ბლექბერნი
მიდლსბრო - ვესტ ჰემი
ნიუკასლი - მანჩესტერი
ტოტენჰემი - ჩელსი

**18 სექტემბერი, 2001**

არსენალი - ნიუკასლი
ლიდსი - ევერტონი
სანდერლენდი - ტოტენჰემი

**19 სექტემბერი, 2001**

ბლექბერნი - ბოლტონი
ჩელსი - ჩარლტონი
ლესტერი - მიდლსბრო
ლივერპული - ფულემი
მანჩესტერი - დერბი
საუთჰემპტონი - იფსვიჩი
ვესტ ჰემი - ასტონ ვილა

**22 სექტემბერი, 2001**

არსენალი - ბოლტონი
ბლექბერნი - ევერტონი
ჩელსი - მიდლსბრო
ლიდსი - დერბი
ლესტერი - ფულემი
ლივერპული - ტოტენჰემი
მანჩესტერი - იფსვიჩი
საუთჰემპტონი - ასტონ ვილა
სანდერლენდი - ჩარლტონი
ვესტ ჰემი - ნიუკასლი

**29 სექტემბერი, 2001**

ასტონ ვილა - ბლექბერნი
ბოლტონი - სანდერლენდი
ჩარლტონი - ლესტერი
დერბი - არსენალი
ევერტონი - ვესტ ჰემი
ფულემი - ჩელსი
იფსვიჩი - ლიდსი
მიდლსბრო - საუთჰემპტონი
ნიუკასლი - ლივერპული
ტოტენჰემი - მანჩესტერი

**13 ოქტომბერი, 2001**

ასტონ ვილა - ფულემი
ბლექბერნი - ვესტ ჰემი
ბოლტონი - ნიუკასლი
ჩარლტონი - მიდლსბრო
ჩელსი - ლესტერი
იფსვიჩი - ევერტონი
ლივერპული - ლიდსი

ჯერ ლამის თვენახევარია დარჩენილი ინგლისური პრემიერლიგის მორიგი სეზონის დაწყებამდე, თუმცა მაინც გადავწყვიტეთ, გათამაშების წინასწარი კალენდარი ახლავე შემოგვეთავაზებინა თქვენთვის — რამით ხომ უნდა გაერთოს კაცი ამ „მკვდარ" პერიოდში. ცხადია, 18 აგვისტოს, ანუ სეზონის გახსნის დღეს, თამაშების განრიგს კიდევ ერთხელ გაახლებთ და თანაც უფრო სრულყოფილად — მალე ტელეკომპანია „სქაისა" და პრემიერლიგის მესვეურებს შორის ტრადიციული მოლაპარაკება გაიმართება და გადაწყდება, რომელი მატჩები გაიმართება კვირაობით და ორშაბათობით. აგრეთვე მოსალოდნელია. იმ გუნდების მატჩების თარიღების შეცვლა, რომლებიც ინგლისს უეფას თასზე წარადგენენ.

სხვა საინტერესო ისაა, რომ 15-წლიანი შესვენების შემდეგ აღსდგა ცნობილი შვიდი ბრიტანული დერბიდან ერთ-ერთი: „ჩელსი"-„ფულემი". ამათი ჯახი 29 სექტემბერს და 6 მარტსაა დაგეგმილი.



საუთჰემპტონი - არსენალი
სანდერლენდი - მანჩესტერი
ტოტენჰემი - დერბი

**20 ოქტომბერი, 2001**

არსენალი - ბლექბერნი
დერბი - ჩარლტონი
ევერტონი - ასტონ ვილა
ფულემი - იფსვიჩი
ლიდსი - ჩელსი
ლესტერი - ლივერპული
მანჩესტერი - ბოლტონი
მიდლსბრო - სანდერლენდი
ნიუკასლი - ტოტენჰემი
ვესტ ჰემი - საუთჰემპტონი

**24 ოქტომბერი, 2001**

საუთჰემპტონი - ლივერპული

**27 ოქტომბერი, 2001**

ასტონ ვილა - ბოლტონი
ბლექბერნი - ლესტერი
ჩარლტონი - ლივერპული
დერბი - ჩელსი
ევერტონი - ნიუკასლი
ფულემი - საუთჰემპტონი
იფსვიჩი - ვესტ ჰემი
მანჩესტერი - ლიდსი
სანდერლენდი - არსენალი
ტოტენჰემი - მიდლსბრო

**3 ნოემბერი, 2001**

არსენალი - ჩარლტონი
ბოლტონი - ევერტონი
ჩელსი - იფსვიჩი
ლიდსი - ტოტენჰემი
ლესტერი - სანდერლენდი
ლივერპული - მანჩესტერი
მიდლსბრო - დერბი
ნიუკასლი - ასტონ ვილა
საუთჰემპტონი - ბლექბერნი
ვესტ ჰემი - ფულემი

**17 ნოემბერი, 2001**

ასტონ ვილა - მიდლსბრო
ბლექბერნი - ლივერპული
ჩარლტონი - ვესტ ჰემი
დერბი - საუთჰემპტონი
ევერტონი - ჩელსი
ფულემი - ნიუკასლი
იფსვიჩი - ბოლტონი
მანჩესტერი - ლესტერი
სანდერლენდი - ლიდსი
ტოტენჰემი - არსენალი

**24 ნოემბერი, 2001**

არსენალი - მანჩესტერი
ბოლტონი - ფულემი
ჩელსი - ბლექბერნი
ლიდსი - ასტონ ვილა
ლესტერი - ევერტონი
ლივერპული - სანდერლენდი
მიდლსბრო - იფსვიჩი
ნიუკასლი - დერბი
საუთჰემპტონი - ჩარლტონი
ვესტ ჰემი - ტოტენჰემი

**1 დეკემბერი, 2001**

ასტონ ვილა - ლესტერი
ბლექბერნი - მიდლსბრო
ჩარლტონი - ნიუკასლი
დერბი - ლივერპული
ევერტონი - საუთჰემპტონი
ფულემი - ლიდსი
იფსვიჩი - არსენალი
მანჩესტერი - ჩელსი
სანდერლენდი - ვესტ ჰემი
ტოტენჰემი - ბოლტონი

**8 დეკემბერი, 2001**

არსენალი - ასტონ ვილა
ბლექბერნი - ლიდსი
ჩარლტონი - ტოტენჰემი
დერბი - ბოლტონი
ფულემი - ევერტონი
იფსვიჩი - ნიუკასლი
ლესტერი - საუთჰემპტონი
ლივერპული - მიდლსბრო
მანჩესტერი - ვესტ ჰემი
სანდერლენდი - ჩელსი

**15 დეკემბერი, 2001**

ასტონ ვილა - იფსვიჩი
ბოლტონი - ჩარლტონი
ჩელსი - ლივერპული
ევერტონი - დერბი
ლიდსი - ლესტერი
მიდლსბრო - მანჩესტერი
ნიუკასლი - ბლექბერნი
საუთჰემპტონი - სანდერლენდი
ტოტენჰემი - ფულემი
ვესტ ჰემი - არსენალი

**22 დეკემბერი, 2001**

ჩარლტონი - ბლექბერნი
ჩელსი - ბოლტონი
დერბი - ასტონ ვილა
ლიდსი - ნიუკასლი
ლესტერი - ვესტ ჰემი
ლივერპული - არსენალი
მანჩესტერი - საუთჰემპტონი
მიდლსბრო - ფულემი
სანდერლენდი - ევერტონი
ტოტენჰემი - იფსვიჩი

**26 დეკემბერი, 2001**

არსენალი - ჩელსი
ასტონ ვილა - ლივერპული
ბლექბერნი - სანდერლენდი
ბოლტონი - ლიდსი
ევერტონი - მანჩესტერი
ფულემი - ჩარლტონი
იფსვიჩი - ლესტერი
ნიუკასლი - მიდლსბრო
საუთჰემპტონი - ტოტენჰემი
ვესტ ჰემი - დერბი

**29 დეკემბერი, 2001**

არსენალი - მიდლსბრო
ასტონ ვილა - ტოტენჰემი
ბლექბერნი - დერბი
ბოლტონი - ლესტერი
ევერტონი - ჩარლტონი
ფულემი - მანჩესტერი
იფსვიჩი - სანდერლენდი
ნიუკასლი - ჩელსი
საუთჰემპტონი - ლიდსი
ვესტ ჰემი - ლივერპული

**1 იანვარი, 2002**

ჩარლტონი - იფსვიჩი
ჩელსი - საუთჰემპტონი
დერბი - ფულემი
ლიდსი - ვესტ ჰემი
ლესტერი - არსენალი
ლივერპული - ბოლტონი
მანჩესტერი - ნიუკასლი
მიდლსბრო - ევერტონი
სანდერლენდი - ასტონ ვილა
ტოტენჰემი - ბლექბერნი

**12 იანვარი, 2002**

არსენალი - ლივერპული
ასტონ ვილა - დერბი
ბლექბერნი - ჩარლტონი
ბოლტონი - ჩელსი
ევერტონი - სანდერლენდი
ფულემი - მიდლსბრო
იფსვიჩი - ტოტენჰემი
ნიუკასლი - ლიდსი
საუთჰემპტონი - მანჩესტერი
ვესტ ჰემი - ლესტერი

**19 იანვარი, 2002**

ჩარლტონი - ასტონ ვილა
ჩელსი - ვესტ ჰემი
დერბი - იფსვიჩი
ლიდსი - არსენალი
ლესტერი - ნიუკასლი
ლივერპული - საუთჰემპტონი
მანჩესტერი - ბლექბერნი
მიდლსბრო - ბოლტონი
სანდერლენდი - ფულემი
ტოტენჰემი - ევერტონი

**29 იანვარი, 2002**

ბოლტონი - მანჩესტერი
ჩარლტონი - დერბი
იფსვიჩი - ფულემი
სანდერლენდი - მიდლსბრო

**30 იანვარი, 2002**

ასტონ ვილა - ევერტონი
ბლექბერნი - არსენალი
ჩელსი - ლიდსი
ლივერპული - ლესტერი
საუთჰემპტონი - ვესტ ჰემი
ტოტენჰემი - ნიუკასლი

**2 თებერვალი, 2002**

არსენალი - საუთჰემპტონი
დერბი - ტოტენჰემი
ევერტონი - იფსვიჩი
ფულემი - ასტონ ვილა
ლიდსი - ლივერპული
ლესტერი - ჩელსი
მანჩესტერი - სანდერლენდი
მიდლსბრო - ჩარლტონი
ნიუკასლი - ბოლტონი
ვესტ ჰემი - ბლექბერნი

**9 თებერვალი, 2002**

ასტონ ვილა - ჩელსი
ბოლტონი - ვესტ ჰემი
ჩარლტონი - მანჩესტერი
დერბი - სანდერლენდი
ევერტონი - არსენალი
ფულემი - ბლექბერნი
იფსვიჩი - ლივერპული
მიდლსბრო - ლიდსი
ნიუკასლი - საუთჰემპტონი
ტოტენჰემი - ლესტერი

**23 თებერვალი, 2002**

არსენალი - ფულემი
ბლექბერნი - იფსვიჩი
ჩელსი - ტოტენჰემი
ლიდსი - ჩარლტონი
ლესტერი - დერბი
ლივერპული - ევერტონი
მანჩესტერი - ასტონ ვილა
საუთჰემპტონი - ბოლტონი
სანდერლენდი - ნიუკასლი
ვესტ ჰემი - მიდლსბრო

**2 მარტი, 2002**

ასტონ ვილა - ვესტ ჰემი
ბოლტონი - ბლექბერნი
ჩარლტონი - ჩელსი
დერბი - მანჩესტერი
ევერტონი - ლიდსი
ფულემი - ლივერპული
იფსვიჩი - საუთჰემპტონი
მიდლსბრო - ლესტერი
ნიუკასლი - არსენალი
ტოტენჰემი - სანდერლენდი

**5 მარტი, 2002**

არსენალი - დერბი
ლიდსი - იფსვიჩი
სანდერლენდი - ბოლტონი

**6 მარტი, 2002**

ბლექბერნი - ასტონ ვილა
ჩელსი - ფულემი
ლესტერი - ჩარლტონი
ლივერპული - ნიუკასლი
მანჩესტერი - ტოტენჰემი
საუთჰემპტონი - მიდლსბრო
ვესტ ჰემი - ევერტონი

**16 მარტი, 2002**

ასტონ ვილა - არსენალი
ბოლტონი - დერბი
ჩელსი - სანდერლენდი
ევერტონი - ფულემი
ლიდსი - ბლექბერნი
მიდლსბრო - ლივერპული
ნიუკასლი - იფსვიჩი
საუთჰემპტონი - ლესტერი
ტოტენჰემი - ჩარლტონი
ვესტ ჰემი - მანჩესტერი

**23 მარტი, 2002**

არსენალი - ვესტ ჰემი
ბლექბერნი - ნიუკასლი
ჩარლტონი - ბოლტონი
დერბი - ევერტონი
ფულემი - ტოტენჰემი
იფსვიჩი - ასტონ ვილა
ლესტერი - ლიდსი
ლივერპული - ჩელსი
მანჩესტერი - მიდლსბრო
სანდერლენდი - საუთჰემპტონი

**30 მარტი, 2002**

არსენალი - სანდერლენდი
ბოლტონი - ასტონ ვილა
ჩელსი - დერბი
ლიდსი - მანჩესტერი
ლესტერი - ბლექბერნი
ლივერპული - ჩარლტონი
მიდლსბრო - ტოტენჰემი
ნიუკასლი - ევერტონი
საუთჰემპტონი - ფულემი
ვესტ ჰემი - იფსვიჩი

**1 აპრილი, 2002**

ასტონ ვილა - ნიუკასლი
ბლექბერნი - საუთჰემპტონი
ჩარლტონი - არსენალი
დერბი - მიდლსბრო
ევერტონი - ბოლტონი
ფულემი - ვესტ ჰემი
იფსვიჩი - ჩელსი
მანჩესტერი - ლივერპული
სანდერლენდი - ლესტერი
ტოტენჰემი - ლიდსი

**6 აპრილი, 2002**

არსენალი - ტოტენჰემი
ბოლტონი - იფსვიჩი
ჩელსი - ევერტონი
ლიდსი - სანდერლენდი
ლესტერი - მანჩესტერი
ლივერპული - ბლექბერნი
მიდლსბრო - ასტონ ვილა
ნიუკასლი - ფულემი
საუთჰემპტონი - დერბი
ვესტ ჰემი - ჩარლტონი

**13 აპრილი, 2002**

ასტონ ვილა - ლიდსი
ბლექბერნი - ჩელსი
ჩარლტონი - საუთჰემპტონი
დერბი - ნიუკასლი
ევერტონი - ლესტერი
ფულემი - ბოლტონი
იფსვიჩი - მიდლსბრო
მანჩესტერი - არსენალი
სანდერლენდი - ლივერპული
ტოტენჰემი - ვესტ ჰემი

**20 აპრილი, 2002**

არსენალი - იფსვიჩი
ბოლტონი - ტოტენჰემი
ჩელსი - მანჩესტერი
ლიდსი - ფულემი
ლესტერი - ასტონ ვილა
ლივერპული - დერბი
მიდლსბრო - ბლექბერნი
ნიუკასლი - ჩარლტონი
საუთჰემპტონი - ევერტონი
ვესტ ჰემი - სანდერლენდი

**27 აპრილი, 2002**

ასტონ ვილა - საუთჰემპტონი
ბოლტონი - არსენალი
ჩარლტონი - სანდერლენდი
დერბი - ლიდსი
ევერტონი - ბლექბერნი
ფულემი - ლესტერი
იფსვიჩი - მანჩესტერი
მიდლსბრო - ჩელსი
ნიუკასლი - ვესტ ჰემი
ტოტენჰემი - ლივერპული

**11 მაისი, 2002**

არსენალი - ევერტონი
ბლექბერნი - ფულემი
ჩელსი - ასტონ ვილა
ლიდსი - მიდლსბრო
ლესტერი - ტოტენჰემი
ლივერპული - იფსვიჩი
მანჩესტერი - ჩარლტონი
საუთჰემპტონი - ნიუკასლი
სანდერლენდი - დერბი
ვესტ ჰემი - ბოლტონი

# კახა კალაძეზე ნაწყენი მილანელი

**თბილისს მსოფლიოს სპორტულ სამყაროს მაღალი რანგის და ფრიად ავტორიტეტული პიროვნება, ოტავიო ჩინკვანტა სტუმრობდა. იგი ფიგურული ციგურაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა და იტალიის ოლიმპიური კომიტეტების აღმასკომის წევრი გახლავთ.**

მიშა გურასპაშვილის ფოტო



ოტავიო ჩინკვანტა

— უწინარეს ყოვლისა მინდა გულთბილი მასპინძლობისთვის ულრმესი მადლობა გადაგიხადოთ. საკმაოდ ბევრ ქვეყანაში მიმოგზაურია და გულწრფელად გეტყვით, რომ მსგავსი მასპინძლობა არსად მინახავს. მოხარული დავრჩები, თუ საქართველოში ფიგურული ციგურაობა და საერთოდ ზამთრის სპორტი ისეთ მაღალ დონეზე იქნება, როგორიც თქვენი მასპინძლობა იყო. ჩემი ვიზიტიც ამითაა განპირობებული. მინდა საქართველოში სპორტის ზამთრის სახეობები უფრო ახლოს გავიცნო. ვიცი, რომ თქვენში ფიგურულ ციგურაობას გარკვეული ტრადიციები გააჩნია, გყავთ კარგი მწვრნელები და, რაც მთავარია, სპორტული პოტენციალის ნაკლებობასაც არ უჩივით.

მიხარია, რომ საქართველოში ზამთრის სპორტის სახეობათა ფედერაციას სათავეში ძლიერი და პროფესიონალი პიროვნება გოგი თოფაძე უდგას. იგი სპორტზე ფანატიკურადაა შეყვარებული. ამაში მასთან შეხვედრისას კიდევ ერთხელ დავრწმუნდი. ფიგურული ციგურაობის ფედერაციასაც ირაკლი ჯაფარიძის სახით ჭკვიანი კაცი თავკაცობს. აღარაფერს ვამბობ თქვენი ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობის შესახებ. ყოველივე ამის გათვალისწინებით არ მაქვს უფლება ვიფიქრო, რომ საქართველოში ზამთრის სპორტს მომავალი არ გააჩნია. მოხარული დავრჩები, თუ თქვენს ქვეყანაში ზამთრის სპორტის განვითარების საქმეში ჩემს მოკრძალებულ წვლილს შევიტან. ჩემი ვიზიტის მთავარი მიზანიც სწორედ ეს არის.

**— ჩვენს ქვეყანაში სპორტის ზამთრის სახეობებზე და საერთოდ ქართული სპორტის შესახებ როგორი წარმოდგენა გაქვთ?**

— რომ გითხრათ, საკმაო ინფორმაციას ვფლობ-მეთქი, მართალი არ იქნება. მაგრამ, როგორც გითხარით, აქ სწორედ იმიტომაც ჩამოვედი, რომ ქართულ სპორტზე რაც შეიძლება მეტი გავიგო. ვიცი, რომ ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში დამოუკიდებლად 1994 წლიდან ასპარეზობთ. მართალია, „თეთრ ოლიმპიადებზე" ჯერჯერობით რაიმე ხელშესახებ წარმატებებს ვერ აღწევთ, მაგრამ თვითონ ფაქტი, რომ ამ გრანდიოზულ და უმნიშვნელოვანეს სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობთ, უკვე ბევრის მანიშნებელია. ვიმედოვნებ, რომ უახლოეს მომავალში ზამთრის ოლიმპიადებზე ოლიმპიურ დევიზს, „მთავარია მონაწილეობა და არა შედეგი" დაივიწყებთ და მედლებისთვის მებრძოლ ქვეყანათა მარაქაშიც გაერევით, ისევე, როგორც ამას ზაფხულის ოლიმპიადებზე აკეთებთ.

**— საქართველოში ფიგურული ციგურაობა პოპულარული კია, მაგრამ, სამწუხაროდ, მიზეზთა გამო იგი სათანადოდ განვითარებული ვერ არის. თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს სპორტის ამ სახეობისა და საერთოდ სპორტის ზამთრის სახეობათა განვითარებისთვის?**

— თქვენ შეკითხვაში რიგი მიზეზები ახსენეთ. ამიტომ პირველ რიგში იმ მიზეზების აღმოსაფხვრელად უნდა იზრუნოთ, რომელიც ხელს უშლის ქვეყანაში ზამთრის სახეობათა წინსვლას. რა თქმა უნდა, მხარში სახელმწიფოც უნდა ამოგიდგეთ. ზემოთაც აღვნიშნე, რომ დიდი სპორტული პოტენციალი გაგაჩნიათ-მეთქი, მაგრამ საქმეს მარტო ეს ვერ უშველის.

კარგია, რომ ფიგურული ციგურაობა თქვენში პოპულარულია, მაგრამ, სამწუხაროდ, სპორტულ ბაზათა ნაკლებობას უჩივით, რაც ძალზე მწვავე პრობლემაა.

**— ზამთრის ოლიმპიური თამაშები კარს მოგვადგა. თქვენ, როგორც „სოლტ ლეიკ სიტი 2002"-ის საკოორდინაციო კომისიის წევრი, როგორ შეაფასებდით წინასაოლიმპიადო მზადების პროცესს?**

— დადებითად, უფრო სწორად, ჩინებულად. ჯერჯერობით ყველაფერი მართლაც შესანიშნავადაა და არა მგონია მასპინძლებს მზადების მხრივ რაიმე პრობლემები შეექმნათ. ოლიმპიური სოფელიც და სპორტული ბაზებიც იდეალურ მდგომარეობაშია, განსაკუთრებით აღტაცებული ფიგურული ციგურაობის კომპლექსით დავრჩი.

1996 წლის ატლანტის ზაფხულის ოლიმპიური თამაშები ორგანიზაციული თვალსაზრისით საკმაოდ მოიკოჭლებდა. აი, სოლტ ლეიკ სიტის თამაშების შემდეგ კი არა მგონია ვინმეს ენა საწუწუნოდ მოუბრუნდეს. დარწმუნებული ვარ, რომ იგი, ყველა წინამორბედისგან გამორჩეული იქნება.

**— 2006 წლის „თეთრი ოლიმპიადა" თქვენს სამშობლოში გაიმართება. „ტურინი 2006"-ის საორგანიზაციო კომიტეტის გენერალურმა დირექტორმა პაოლო როტამ განაცხადა, რომ ტურინის ზამთრის ოლიმპიადა კაცობრიობის ისტორიაში საუკეთესო იქნებაო...**

— პაოლო ჩემი მეგობარია და ვიცი, რომ ჰაიჰარად არაფერს ამბობს. რახან იგი ასეთ განცხადებებს აკეთებს, ეს ნიშნავს, ამის თქმის საფუძველიც აქვს. პირადად მე კი ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევად და უაზრობად მეჩვენება. ჯერ 2002 წლის თამაშები ვნახოთ და უკეთესზე მერე ვილაპარაკოთ.

**— რას იტყოდით ჭადრაკის ზამთრის ოლიმპიურ თამაშების პროგრამაში შეტანის თაობაზე. ამაზე ხომ კულუარებში საუბრობენ კიდევაც?**

— ეს საკითხი საკმაოდ სერიოზული მსჯელობის საგანია. ჯერჯერობით ამის შესახებ საინტერესოს ვერაფერს გეტყვით, თუმცაღა ჭადრაკის პროგრამაში შეტანის წინააღმდეგი პირადად მე არ ვარ.

**— ივლისში მოსკოვში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის და 2008 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქის გამოსავლენი არჩევნები შედგება. როგორია თქვენი, როგორც ამ ორგანიზაციის აღმასკომის წევრის პროგნოზი?**

— დარწმუნებული ვარ, რომ სოკ-ის პრეზიდენტობის ხუთივე კანდიდატი გამოცდილი, დამსახურებული და ღირსეული პიროვნებები არიან. ნებისმიერი მათგანი იმსახურებს იყოს ოლიმპიური მოძრაობის თავკაცი და საქმეებსაც კარგად წარმართავენ.

ჩემის ღრმა რწმენით, არაა აუცილებელი სოკ-ის პრეზიდენტი მსოფლიოში ყველაზე ჭკვიანი კაცი და ყველაზე ინტელექტუალური პიროვნება იყოს. არაა აუცილებელი იგი თავისუფლად ლაპარაკობდეს 10-12 ენაზე, არაა აუცილებელი იყოს ძალზე მდიდარი და სხვა.

ჩემი აზრით, სოკ-ის პრეზიდენტს, პირველ რიგში, უნდა ჰქონდეს ხედვის უნარი, უტყუარი ინტუიცია და უნდა იცოდეს მთავარი — რა უნდა პირადად მას ოლიმპიურ მოძრაობაში. სოკ-ის მართვას მართლაც რომ ძლიერი ხელი სჭირდება, ძლიერი პიროვნული თვისებებით. სამარანჩი იმიტომ იყო ძლიერი, რომ მას შესწევდა უნარი ეტარებინა ოლიმპიური მოძრაობა საკუთრივ მის მიერ განსაზღვრული სტრატეგიით. მას აქვს ყველას მოსმენის საუცხოო უნარი, ხოლო საქმეს აკეთებდა ისე, როგორც მას მიაჩნდა მართებულად.

აი, ასეთი კაცი სჭირდება დღეს მსოფლიოს ოლიმპიურ მოძრაობას. რაც შეეხება 2008 წლის ოლიმპიური თამაშების კანდიდატ ქალაქს, პირადად ჩემი სიმპათიები პარიზისა და პეკინისკენ იხრება.

**— მილანში ცხოვრობთ და არ შემიძლია კახა კალაძეზე სიტყვა არ ჩამოვაგდო. თუ ფეხბურთთან მეგობრულად ხართ?**

— თქვენ რა, დამცინით? რას ქვია ფეხბურთი არ მიყვარს?! იტალიაში იშვიათად ნახავთ კაცს, ვისაც სპორტის ამ სახეობის მიმართ გულგრილი დამოკიდებულება აქვს.

კახი კალაძე მართლაც ჩინებული ფეხბურთელია. „მილანმა" მისი შეძენით მართლაც ბევრი მოიგო, რაც პირადად მე სულაც არ მსიამოვნებს. კალაძეს, როგორც ფეხბურთელს, ვაფასებ, მაგრამ, სანამ იგი „მილანში" ითამაშებს, მის მიმართ სიმპათიებით გამსჭვალული ვერ ვიქნები. საქმე ისაა, რომ მე მილანის მეორე კლუბის, „ინტერის" თავგამოდებული ქომაგი ვარ. კარგი იქნებოდა, კახიც „ინტერის" ფეხბურთელი გამხდარიყო, მაგრამ...

ისე, პირფერობაში ნუ ჩამითვლით და თქვენ მართლაც კარგი ნაკრები გყავთ. ორჯერ ერთ შესარჩევ ქვეჯგუფში მოვხვდით და თქვენი სიძლიერე საკუთარ თავზეც გამოვცადეთ.

**კახა ბერიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვეტერანთა ბედს ყმაწვილები გადაწყვეტენ

**27 ივნისს** ნიუ იორკში უცნობილესმა „მედისონ სკვერ გარდენმა" 2001 წლის დრაფტს უმასპინძლა და ამ სიტყვებს რომ წაიკითხავთ, ის უკვე დამთავრებული იქნება. დრაფტი სეზონთაშორისი პერიოდის უმნიშვნელოვანესი ღონისძიებაა და მასზე დამოკიდებულია არამარტო ნბა-ს გუნდების, არამედ ლიგის თავისუფალ აგენტთა მომავალი. კლუბების ხელმძღვანელები დრაფტში აყვანილ ახალბედათა ამპლუების და შესაძლებლობების გათვალისწინებით გადაწყვეტენ, თავისუფალ აგენტთაგან ვის დაიტოვებენ. მინიმუმ ერთიორი ასეთი ნებისმიერ გუნდს მოეძებება, ძველ კლუბთან კონტრაქტდამთავრებულთა საერთო რიცხვი კი ასეულს აჭარბებს. მათ შორისაა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მოხვედრილი პირველი ქართველი ვლადიმერ სტეფანია, რომელსაც ძველ კლუბ „ნიუ ჯერსი ნეთსთან" კონტრაქტი ამ ზაფხულს დაუმთავრდა. გთავაზობთ თავისუფალ აგენტთა სრულ სიას ძველი გუნდების მიხედვით:



კრის ვებერი

*ატლანტა:* მეტ მელონი, ნაზრ მუჰამედი

*ბოსტონი:* მარკ ბლაუნტი, კრის კარი, ადრიან გრიფინი, კრის ჰერენი, მილტ პალასიო, ბრაიანტ სტიტი, ერიკ ვილიამსი

*შარლოტი:* სკოტ ბარელი, ჰერსი ჰოკინსი, ლი ნეილონი, ედი რობინსონი, ოტის ტორპი

*ჩიკაგო:* კორი ბენჯამინი, ბრიუს დრიუ, სტივ გუდრიჩი, ფრედ ჰოიბერგი, დრაგან ტარლაჩი

*კლივლენდი:* ჩაკი ბრაუნი, კრის გეტლინგი, ჯიმი ჯეკსონი, ენტონი ჯონსონი, კლარენს ვეზერსპუნი

*დალასი:* კელვინ ბუთი, შონ ბრედლი, მარკ ბრაიანტი, ობინა ეკეზიე, მაიკლ ფინლი, ვერნონ მაქსველი, ედუარდო ნახერა, გერი ტრენტი

*დენვერი:* ტერი დევისი, ენტონი გოლდვაიერი, დან მაკლინტოკი, რობერტ პეკი

*დეტროიტი:* დანა ბაროსი, ბრაიან კარდინალი, კორნელ დევიდი, ბილი ოუენსი, ჯო სმიტი, კორლის ვილიამსონი

*გოლდენ სტეიტი:* კრის გარნერი, მარკ ჯეკსონი, ადამ კიფი, პოლ მაკფერსონი, კრის მულინი

*ჰიუსტონი:* შენდონ ანდერსონი, მეტ ბალარდი, შონ კოლსონი, დან ლანი, მუჩი ნორისი, ჰაკიმ ოლაჯუონი, კარლოს როჯერსი, მორის ტეილორი

*ინდიანა:* ტაიუს იდნი, ლარი კეტნერი, ტერი მილზი, ჟან ტაბაკი

*კლიპერსი:* ზენდონ ჰამილტონი, ჩეროკი პარქსი

*ლეიკერსი:* გრეგ ფოსტერი, ჰორას გრანტი, რონ ჰარპერი, რობერტ ჰორი, ტაირონ ლუ, მაიკ პენბერტი, ჯეი არ რიდი

*მაიამი:* ბრიუს ბოუენი, ენტონი კარტერი, დუეინ კოზველი, სედრიკ სებალოსი, ტოდ ფალერი, ეი სი გრინი, ტიმ ჰარდევეი, დონ მაკლინი, დან მარლი, ენტონი მეისონი

*მილუოკი:* რაფერ ალსტონი, დერვინ ჰემი, ჯერომ კერსი, მარკ პოუპი, სკოტ ვილიამსი

*მინესოტა:* ლაფონსო ელისი, სემ ჯეკობსონი, ფელიპე ლოპესი, სემ მიტჩელი, ანდრე პეტერსონი, რეჯი სლეიტერი

*ნიუ ჯერსი:* შერმან დუგლასი, ევან ეშმეიერი, ქენდალ გილი, სტივენ ჯეკსონი, დუგ ოვერტონი, სუმაილა სამაკე, ვლადიმერ სტეფანია, მარკ სტრიკლენდი, ჯამელ ტომასი

*ნიუ იორკი:* რიკ ბრანსონი, ალან ჰიუსტონი, ლევორ პოსტელი, ფელტონ სპენსერი

*ორლანდო:* კორი ალექსანდერი, ჯონ ამაეჩი, დი ბრაუნი, ენდრიუ დეკლერკი, ტროი ჰადსონი, დონ რიდი, მონტი ვილიამსი

*ფილადელფია:* როდნი ბაფორდი, ტაირონ ჰილი, ტოდ მაკალოფი, აარონ მაკკი, დიკემბე მუტომბო, კევინ ოლი, პეპე სანჩესი

*ფინიქსი:* კრის დადლი, მარიო ელი, ელიოტ პერი, როდნი როჯერსი, დანიელ სანტიაგო

*პორტლენდი:* სტეისი ოგმონი, ანტონიო ჰარვი, არვიდას საბონისი, დეტლეფ შრემპფი, როდ სტრიკლენდი

*საკრამენტო:* ნიკ ანდერსონი, დუგ კრისტი, არტ ლონგი, დერიკ მარტინი, ჯაბარი სმიტი, კრის ვებერი

*სან ანტონიო:* დერიკ ანდერსონი, დერიკ დიალი, შონ ელიოტი, დენი ფერი, აივერი ჯონსონი, ირა ნიუბილი, დევიდ რობინსონი, მალიკ როუზი, შონელ სკოტი, სამაკი უოლკერი

*სიეტლი:* ემანუელ დევისი, პატრიკ იუინგი, ჯელანი მაკკოი, რუბენ პატერსონი, შემონდ ვილიამსი, დევიდ ვინგეიტი

*ტორონტო:* ანტონიო დევისი, ელვინ ვილიამსი, ჯერომ ვილიამსი

*იუტა:* დევიდ ბენუა, ჯონ კროტი, დენი მენინგი, ოლდენ პოლინაისი, ჯონ სტარქსი, ჯონ სტოქტონი, ჟაკ ვონი

*ვანკუვერი:* მაჰმუდ აბდულ-რაუფი, აიზეკ ოსტინი, კევინ ედვარდსი, გრანტ ლონგი, დეიმონ ჯონსი, ერიკ სტრიკლენდი, დუგ ვესტი

*ვაშინგტონი:* პოპი ჯონსი, კრისტიან ლეიტნერი, მიჩ რიჩმონდი, მაიკლ სმიტი, მაიკ სმიტი, დევიდ ვენტერპული

მაინცის ტურნირი სწრაფ ჭადრაკში

# ფიშერის იდეას პირველი ხორცი შეესხა

**მაინცის** საჭადრაკო ფესტივალის სახალხო ნაწილი გასრულდა და საქმეს 4 რჩეული შეუდგა. ვიშვანათან ანანდი და ვლადიმირ კრამნიკი სწრაფი ჭადრაკის 10 პარტიას თამაშობენ, პეტერ ლეკო და მაიკლ ადამსი „ფიშერის ჭადრაკში" 8-ჯერ უნდა შეხვდნენ ერთმანეთს და გუშინდელ „სარბიელში" მოკლე განმარტების შემდეგ, რომ ჭადრაკის ეს ნაირსახეობა პრაქტიკულად უგულებელყოფს თანამედროვე სადებიუტო თეორიას, დღეს ნათქვამს განვავრცობთ.

ჭადრაკში რაღაცის შეცვლის საჭიროება მარტო ბობი ფიშერს არ უგრძვნია. თეორიის განვითარების პარალელურად ჯერ კიდევ ლასკერმა და კაპაბლანკამ მწუხარედ შენიშნეს, ჭადრაკს საყაიმო სიკვდილი ემუქრებაო და მართლაც წლიდან წლამდე ყაიმთა პროცენტი განუწყვეტლივ იზრდებოდა, სანამ მეოცე საუკუნის ბოლოს დაახლოებით 70-ს არ უწია. დღეს დებიუტის კარგად მცოდნე მოთამაშე ნახევარ ქულას დიდი ჭაპანწყვეტის გარეშე მოიპოვებს, ამიტომ ფიშერმა მარტივად მოიფიქრა: დარჩნენ პაიკები ადგილებზე და ფიგურები კომპიუტერმა არიოს! სპეციალური პროგრამა თეთრებს პირველ ჰორიზონტზე შემთხვევით სიდიდეთა კანონებით დაალაგებს და შემდეგ შავები ზუსტად იმავე სიმეტრიით დაეწყობიან, ოღონდ ორი პრინციპი არ უნდა დაირღვეს: ეტლები მეფის სხვადასხვა მხარეს უნდა იდგნენ და ორი კუდან ერთს თეთრი უჯრა უნდა ეჭიროს, მეორეს — შავი. ამგვარი განლაგების მაგალითი დიაგრამაზე იხილეთ.

ვარიანტების რაოდენობა ფიგურათა კლასიკური გაწყობის ჩათვლით 960-ს უდრის და მაშასადამე, იმათგან პრაქტიკულად მხოლოდ ერთში გამოადგება მოჭადრაკეს ის ცოდნა, რაც დებიუტების თეორიაში აქამდე მიუღია. მოკლედ, თავიდან სასწავლია ყველაფერი და საკმაოდ ზუსტი ცნობებით, პეტერ ლეკო ამ საქმეს ერთი ხანია მისდევს. ფიშერის ბუდაპეშტში ყოფნისას ლეკო მას ძლიერ დაუახლოვდა და ამბობენ, მსოფლიოს ექსჩემპიონი ავარჯიშებდა კიდეცო, მაგრამ უნგრელმა ჟურნალისტებთან ამ ამბავზე კომენტარი არ ისურვა. არც ის დაუკონკრეტებია, მართლა თუ გადავიდა ფიშერი იაპონიაში, მთელი წელი კონტაქტი არ გვქონიაო. „თუ ეს სიმართლეა, ფიშერი თავს ალბათ კარგად გრძნობს, რადგან გიჟდება იაპონურ საჭმელებზე" — თქვა აგრეთვე ლეკომ და დაფას მიუჯდა ადამსის პირისპირ.

ინგლისელი „კაცი-ობობას" პროგნოზები უაღრესად მოკლე და პესიმისტური გახლდათ. აი, ნაწყვეტი მისი ინტერვიუდან:

**— გითამაშიათ „ფიშერის ჭადრაკი?"**

— არასოდეს. არანაირი პრაქტიკა არ გამაჩნია.

**— რა შედეგს ელით ლეკოსთან მატჩიდან?**

— ჩემთვის იგი ძალიან მძიმე იქნება...

**— მიუხედავად იმისა, რომ უცნობ და აბსურდულ პოზიციებში თამაში ლეკოზე ბევრად უფრო გიყვართ?**

— მიუხედავად ამისა. ლეკო გამოკვეთილი ფავორიტია.

ორი პარტია უკვე შედგა და ჯერ ადამსის პროგნოზი მართლდება. თეთრებით პირველი ყაიმის შემდეგ ლეკომ შავებით მძლავრად ითამაშა და მოიგო.

ორი პარტია მოასწრეს ანანდმა და კრამნიკმაც. ბრძოლისმაგვარი მხოლოდ პირველში შედგა, სადაც რუსმა თეთრებით ლაზიერის მილებული გამბიტი გაითამაშა. გამოვიდა ტიპური პოზიცია განმხოლოებული თეთრი პაიკით, რომელიც კრამნიკმა პოზიციური უპირატესობისთვის გაწირა. „ბრაიანგეიმზ ნეტუორკის" ჩემპიონმა სახიფათოდ გაშალა ძალები, მაგრამ არც ფიდეს ყოჩმა ისურვა სანგარში ჯდომა და ხარისხის დათმობით ინიციატივა იპყრო. დროის ნაკლებობის გამო კრამნიკმა მხოლოდ ტოტალური გაცვლები გაახერხა და 34-ე სვლაზე ყაიმი აღინიშნა, ხოლო მეორე პარტიაში ფიგურებმა დაფაზე სულ 14-ჯერ იცვალეს ადგილი. ცოცხალი ესპანური პარტიის მიუხედავად, ანანდი გატკეპნილ გზას გაჰყვა და კრამნიკმა სულ იოლად გაათანაბრა თამაში. 1:1 ორი პარტიის შემდეგ.

**დავით გულუა**






პეტერ ლეკომ (მარცხნივ) და მაიკლ ადამსმა უცხო საქმე დაიწყეს


## იყიდება

ორსართულიანი კერძო ბინა დოლიძის ქუჩაზე,
170 კვ.მ. საერთო ფართით, გარაჟით,
150 კვ.მ. ხეხილიანი ეზოთი. ფასი შეთანხმებით



ტელ:
78 28 77


ევროპის თასი

# ოქროს ბებერთა სასახელო ვარჯიში




გრიტ ბროიერი

**ბრემენში**, „ვესერ სტედიუმზე", ევროპის თასი გათამაშდა. ჩათვლა სანაკრებო იყო, მაგრამ უპრიანი იქნება ყურადღების გამახვილება კერძო შედეგებზეც. იმ გერმანულ ქალაქში რამდენიმე სახელოვანი ათლეტი გამოდიოდა, მაგალითად, ჰაიკე დრექსლერი.

ვეტერან მხტომელს, რომელმაც სიდნეის ოლიმპიადაზე ახალგაზრდა ტალანტები დაჩაგრა, ხტუნვა კიდევ სწყურია და ედმონტონის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის გამალებით ემზადება. ბრემენში რეპეტიცია წარმატებული იყო. დრექსლერმა 6,79 მეტრი დაფარა, შვიდჭიდელმა ენიკ ბარბერმა — 8 სანტიმეტრით ნაკლები, ხოლო მესამე ადგილზე იტალიის ზანგი მოქალაქე, გრძელფეხება ფიონა მეი გავიდა. ახალგაზრდობა დამარცხდა ვაჟთა სამხტომშიც, სადაც ოლიმპიურმა ჩემპიონმა ჯონათან ედვარდსმა, ეს უკვე მერამდენედ, ახლოს არავინ გაიკარა. 35 წლის ედვარდსი 17,26 მეტრზე გადახტა, რაც სერიოზული განაცხადია მსოფლიოს პირველობისთვის.

კიდევ ერთი ოლიმპიური ჩემპიონი, ბერძენი კონსტანტინოს კენტერისი 200 მეტრზე გამოჩნდა და 20,31 წამი უჩვენა, ოღონდ მისმა გამარჯვებამ მხოლოდ იმისთვის იკმარა, რომ ბერძენთა ნაკრები მე-8 ადგილზე გასულიყო. გუნდური პირველობისთვის ქალთაგან ძირითადად რუსები და გერმანელები ქიშპობდნენ, ვაჟებში — 6 ქვეყანა. გასაკვირი ისაა, რომ ვაჟკაცთა პოდიუმი პოლონელებს ერგოთ. დასავლელ სლავებს თუ დავუჯერებთ, წლეულს მათი მიზანი მხოლოდ თასის პირველ ლიგაში დარჩენა იყო, ამ დროს კი ხტომაში ჩინებული შედეგებით იმდენი მოახერხეს, რომ ცხრილს თავში მოექცნენ. გადამწყვეტი ბოლო დისციპლინა გახლდათ, 4X400 მეტრი ესტაფეტა, სადაც უკანასკნელ წრეზე პირველებმა ჯოხები ჩაიბარეს პოლონელმა რობერტ მაკოვიაკმა და ბიჭოს!.. ბრიტანელმა მარკ რიჩარდსონმა, რომელსაც შარშან ნანდროლონის მიღების გამო წამლაუწუმ ვახსენებდით. მას დისკვალიფიკაციის ვადა მოუხდია, ოღონდ ბევრი ვარჯიში მართებს ედმონტონისთვის, თორემ მაკოვიაკმა ბრემენში არხეინად გაუსწრო და მსოფლიოს ჩემპიონატზე უკეთესებიც ირბენენ. ცნობისთვის: რიჩარდსონი ევროპის ექსჩემპიონია.

ასევე ბოლო დისციპლინაში გაირკვა, რომ ქალთა შორის თასი რუსებს დარჩენოდათ. 4X400 ესტაფეტის გადამწყვეტი სპრინტი გერმანელმა გრიტ ბროიერმა შეასრულა და ესტაფეტა გერმანიამ მოიგო, მაგრამ რუსებმა მეორე ადგილი დაინარჩუნეს და საერთო ჩათვლის მოსაგებად ესეც ეყოთ.

**დავით გულუა**

**ვაჟები**

1. პოლონეთი 107; 2. საფრანგეთი 97; 3. რუსეთი 95

**ქალები**

1. რუსეთი 126,5; 2. გერმანია 117; 3. საფრანგეთი 86

# ულტრა-მარათონის ფესტივალი იაპონიაში

**კუნძულ** ხოკაიდოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში სარომას ტბა არის, რომელსაც პალიასტომის არ იყოს, ყურეს წოდება უფრო შეჰფერის, რადგან წყნარ ოკეანეს კარგა ფართო ყელით უერთდება. სწორედ სარომას შემოგარენში გაიმართა ორი დღის წინ ფრიად უნიკალური ულტრამარათონი — მორბენალებმა 100(!) კილომეტრი დაფარეს. ჩვენი ყურადღებაც ამ ზორბა რიცხვის გამო ერგო მოვლენას. სხვა მხრივ კი იქ ვინმე მქუხარესახელიანს არ ურბენია, სულ იაპონელები იყვნენ და მაინც გვინდა, შემოგთავაზოთ იმ გმირი ვაჟებისა და ქალების სია, რომლებმაც არამცთუ გალიეს ეს გრძელი გზა, არამედ მაღალი შედეგებიც უჩვენეს.

**ვაჟები**

1. იასუფუში მიკამი 6:38,50; 2. შიდეო ნოჯო 6:46,55; 3. მასარუ საკამოტო 7:16,08

**ქალები**

1. ნორიკო საკურაი 8:00,41; 2. აკიკო სეკია 8:09,50; 3. კაძუკო კონდო 8:43,14


## რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

## იყიდება

ოროთახიანი სუფთა ბინა 30 კვ. მ. მიშენებით.
დიღმის მასივი, IV კვარტალი, მე-19 კორპუსი,
პირველი სართული. ფასი შეთანხმებით



ტელ:
397 198, 959 032. 8 77 428283

## იყიდება

სამოთახიანი სუფთა ბინა 2 (9),
საერთო ფართი 103 კვ. მ.
აბაზანა-ტუალეტი რემონტით,
ბ/აირით, ბარნოვის ქ. №71 II სად.
შესასვლელი
კეკელიძის ქუჩიდანაც:

ტელ:
22-75-07, 69-52-58

სპორტსმენთა ფსიქოლოგიური მომზადება სხვადასხვა დონის ასპარეზობებისთვის,
აგრეთვე სტრესების, დისკომფორტის, შფოთვის, კომპლექსების, დეპრესიის,
შიშების მოხსნა, ურთიერთობების პრობლემების მოგვარება.
მიღება წინასწარ ჩაწერით — **29-26-84.**
კონსულტანტი: ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,

**დოცენტი ნატა გელოვანი**

(მაღალი რანგის სპორტსმენებთან მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილებით)

# დავტოვოთ სპორტი მედიცინის გარეშე?



სპორტული მედიცინა მხოლოდ სასწრაფო დახმარება როდია

**ვუბრუნდებით** პრობლემას, რომელზეც ადრეც არაერთხელ გვიმსჯელია, მაგრამ ამაოდ. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ საქართველოში სპორტსმენთა სამედიცინო უზრუნველყოფა სადღეისოდ არც სპორტსმენებს აინტერესებთ, არც მწვრთნელებს და არც სპორტის ხელმძღვანელობას, რაც ძალიან სამწუხარო და დამაფიქრებელია.

კარგად გვესმის, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ მნიშვნელოვნად შეცვალა ადამიანთა შრომის ანაზღაურების წესები და ეს ყველა სფეროს შეეხო. ისიც კარგად ვიცით, რომ თავიდათავი ეკონომიკაა, მაგრამ ხელმომჭირნეობა, რომელმაც შეიძლება დაღუპოს სპორტი, დაგვეთანხმებით, არავის მოუტანს სიკეთეს. ლაპარაკია სპორტულ მედიცინაზე, ურომლისოდაც თანამედროვე სპორტის სათანადოდ განვითარება წარმოუდგენელია.

დღეს სპორტული მედიცინა უაღრესად რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, ამ დარგის გადამრჩენი კი ჯერჯერობით ჰორიზონტზეც არ ჩანს.

საინტერესოა, ნუთუ ასე ძნელია თბილისის სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრის მხოლოდ ერთი — საექიმო კონტროლის განყოფილების სახელმწიფო ბიუჯეტზე გადაყვანა? ამ განყოფილებამ ფაქტობრივად უნდა განახორციელოს საქართველოს ნაკრები გუნდების ყველა წევრის სისტემატური სამედიცინო უზრუნველყოფა. სხვაგვარად, ვიმეორებთ, საქართველოში დიდ სპორტს პროგრესი არ უწერია.

ჩვენ არ მოგვწონდა საბჭოური პერიოდის ბოლო ათ წელიწადში სპორტული მედიცინის სამსახურის მუშაობა საქართველოში, ვინაიდან ყოფილ საბჭოთა კავშირში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება უფრო და უფრო არასახარბიელო პირობებს უქმნიდა საერთოდ მედიცინას. დღეს კი გამოდის, რომ სპორტულ მედიცინას სანატრელი გაუხდა ის ძველი დრო. უკვე აღარ ვიცით, როგორ მივმართოთ ზემდგომ ხელმძღვანელობას, რათა როგორმე ყურადღება დაეთმოს კლინიკური მედიცინის ამ მეტად მნიშვნელოვან დარგს. სპორტულმა მედიცინამ ამავე დროს უდიდესი როლი უნდა შეასრულოს მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების საქმეში. ამისთვის კი კადრების მომზადებაა საჭირო. და ეს იმ დროს, როცა სპორტული მედიცინის წარმომადგენელთა უპერსპექტივო მდგომარეობის გამო ამ სპეციალობით დღეს უკვე აღარავინაა დაინტერესებული. წინასწარ შევთანხმდეთ, რომ სპორტული ექიმის ფუნქციას ვერც ექიმი-ფიზიოლოგი შეასრულებს და ვერც ბიოლოგი ან რომელიმე სხვა სპეციალისტი. სპორტის ექიმების მომზადება ემყარება კლინიკისა (დაავადებების) და რეაბილიტაციის (აღდგენითი მკურნალობის) საკითხების ღრმა ცოდნას, რის გარეშეც შეუძლებელია სპორტში ექიმის მუშაობა.

დღეს ჩვენ გვახარებს ქართველ მოჭიდავეთა მიერ მოპოვებული გამარჯვებები, თუმცა ძალიან მაღალი შედეგები, ვიტყოდით, მხოლოდ ეპიზოდური ხასიათისაა. საქმე ისაა, რომ ჭიდაობას საქართველოში გენეტიკური ფაქტორები უდევს საფუძვლად. საქართველოს მოჭიდავეებს წარსულში მრავალი ოქროს მედალი მოუპოვებიათ, რაც ახლა თითქმის მიუწვდომელი გახდა, რადგან ამისთვის საჭიროა სპორტსმენის თანამედროვე მეცნიერულ დონეზე მომზადება, რაც, სამწუხაროდ, ჩვენში არ ხდება. როგორი მაღალი კვალიფიკაციისაც უნდა იყოს მწვრთნელი, ექიმ-სპეციალისტის გარეშე ვერ შეძლებს წვრთნის პროცესის მართვას. უამისოდ შეუძლებელია, სპორტსმენმა მაღალ შედეგებს მიაღწიოს. ოდნავაც არ გვინდა დავაკნინოთ ჩვენი მოჭიდავეთა მწვრთნელების დამსახურება საქართველოს ნაკრებთა მომზადების საქმეში, მაგრამ ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სადღეისოდ არსებული მიღწევები პირველ რიგში თავად მოჭიდავეთა ნიჭითაა განპირობებული. ჩვენს მოჭიდავეებს, მიუხედავად არსებული არასახარბიელო სოციალურ-ეკონომიკური პირობებისა, მათი თანამედროვე დონეზე მომზადების შემთხვევაში ბევრად უფრო მაღალი შედეგების მიღწევა, პირველ რიგში უფრო მეტი ოქროს მედლის მოპოვება შეუძლიათ, რასაც, რასაკვირველია, სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენელთა შესახებ ვერ ვიტყოდით.

ამიტომ არის, რომ ჭიდაობის შემდგომი განვითარება პედაგოგიური მეცნიერების გარდა სამედიცინო მეცნიერების საფუძვლებს უნდა ემყარებოდეს.

სპორტსმენთა ყოველმხრივი მომზადება ერთ-ერთი ურთულესი პროცესია, ამას კი ესაჭიროება განათლებულ მწვრთნელთა კადრები, რომელთა ფორმირებაში სპორტული მედიცინის სპეციალისტებიც უნდა მონაწილეობდნენ.

ამ წერილში ასეთი მაგალითის მოყვანა არ გვინდოდა, მაგრამ სათქმელი ერთხელ და საბოლოოდ უნდა ითქვას. ისე გაიარა სიდნეის ოლიმპიური თამაშების მოსამზადებელმა პერიოდმა, რომ არცერთი სახეობის მწვრთნელს ერთხელაც არ მიუმართავს რაიმე რჩევა-დარიგებისთვის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო რეაბილიტაციისა და სპორტული მედიცინის კათედრისთვის, ექიმთა დიპლომისშემდგომი მომზადების აკადემიის ამავე სახელწოდების კათედრისთვის და თუნდაც თბილისის სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრისთვის. მიუხედავად იმისა, რომ პირველივე მოსამზადებელ სხდომაზე ამაზე სათანადო განცხადება გაკეთდა. ამ სხდომაზე ისიც კი ითქვა, რომ ჩვენი მწვრთნელების დიდ ნაწილს არ აინტერესებს და არც ესმის სპორტული მედიცინის მნიშვნელობა და ამიტომაც ისინი ამ კათედრებს არ მიმართავენ, რაც, საუბედუროდ, გამართლდა.

ამ პრობლემის შესახებ ძალიან ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვანთ, რომელიც ფეხბურთელთა სამედიცინო უზრუნველყოფის საკითხს შეეხება.

ფეხბურთელთა სამედიცინო კონტროლი (სამედიცინო შემოწმება) დღეს საქართველოში ფაქტობრივად აღარ ტარდება. შეგახსენებთ, რომ სპორტსმენის (ფეხბურთელის) ღრმა საექიმო გამოკვლევების საფუძველზე მარტო ჯანმრთელობის მდგომარეობა კი არა, ფიზიკური განვითარებისა და ფიზიკური მუშაობის უნარიც ვლინდება.

ალბათ მკითხველს გაუკვირდება, როდესაც შეიტყობს, რომ დღეს საქართველოში ნებისმიერი საფეხბურთო ლიგის გუნდის მწვრთნელს წარმოდგენა არა აქვს თავისი ფეხბურთელის ფიზიკური მუშაობის უნარზე, რის საფუძველზეც უნდა ხდებოდეს მისი ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესება ან ერთ გარკვეულ დონეზე შენარჩუნება. სწორედ ეს უნდა მივიჩნიოთ იმ ერთ-ერთ მიზეზად, რომ საქართველოს მასშტაბით ჩატარებული ყველა საფეხბურთო მატჩი, სხვა ქვეყნებში გამართული თამაშებისგან (არ ვგულისხმობთ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების გუნდების თამაშს, ვინაიდან მივიჩნევთ, რომ ფეხბურთი ამ ქვეყნებშიც ჯერჯერობით არასათანადო დონეზეა) განსხვავებით, უფრო მოედანზე „სიარულს“ ემსგავსება, ვიდრე იმ ძალისმიერ თამაშს, რომელიც მაღალი გამძლეობის ფონზე ძალიან სწრაფი მოქმედების სახით უნდა ვლინდებოდეს. ეს იცის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ და ყველა იმ პირმა, ვისაც ქართული ფეხბურთის ბედი აბარია. იცის, მაგრამ... მართალია, ფეხბურთელთა სამედიცინო უზრუნველყოფის საქმის ერთბაშად ყველა გუნდში თანამედროვე დონეზე მოგვარება შეუძლებელია, მაგრამ ეს საქმე ოდესღაც ხომ უნდა დაიწყოს?!

ჩვენი ფეხბურთის მწვრთნელთა უმრავლესობა ვერ ერკვევა სპორტული ფსიქო-ფიზიოლოგიის ანბანში და კერძოდ იმაში, რომ ფეხბურთელთა ორ-სამ დღეში შეთამაშება იმ სახით, რასაც მოითხოვს თანამედროვე ფეხბურთი, ძალიან ძნელია. ყველა ნაკრებს უნდა ჰყავდეს ორივე ტაიმში უცვლელი 6-7 მოთამაშე. რაც შეეხება სხვებს, მათგან მხოლოდ უაღრესად ნიჭიერ ფეხბურთელს თუ შეუძლია ორ-სამ დღეში ამ ანსამბლში სწორად ჩართვა. ნუ ეწყინებათ ჩვენს უდავოდ ნიჭიერ ლეგიონერებს, მაგრამ არც ერთი მათგანი ჯერჯერობით ამ მასშტაბის არ არის, ხოლო თუ ისინი თავიანთ უცხოურ კლუბებში კარგად თამაშობენ, ეს იმიტომ, რომ ამ გუნდების მაღალი კლასის პროფესიონალი მოთამაშეები აძლევენ ამის საშუალებას. აქედან დასკვნა: საქართველოს ნაკრებში მუდმივად უნდა თამაშობდეს ძალიან მაღალი დონის ერთმანეთთან კარგად შეთამაშებული 6-7 ფეხბურთელი, ხოლო თამაშის დანარჩენი ეფექტი კი სხვათა სინდისსა და გარჯაზე უნდა იყოს დამოკიდებული. ამ საქმის ორგანიზაციას დიდი შრომა ესაჭიროება, რაც, რასაკვირველია, ექიმების აქტიური მონაწილეობით უნდა ხორციელდებოდეს.

ქართველ სპორტსმენთა მომზადების აქილევსის ქუსლი შედარებით არასათანადო გამძლეობაა, რაც მათი წარუმატებლობის ხშირი მიზეზია. დღეს რაც შეიძლება დიდი გამძლეობის სპორტსმენები უნდა მომზადდნენ, რა თქმა უნდა, მათ ტექნიკურ და ტაქტიკურ სრულყოფასთან ერთად. ამის მიღწევა სპორტსმენს მხოლოდ დაუღალავი შრომით შეუძლია, რაც ყველა შემთხვევაში ასევე საექიმო კონტროლით უნდა ხორციელდებოდეს.

ამჟამად ისეთი პოპულარული სპორტის სახეობა, როგორიცაა ფეხბურთი, რომლის აღორძინებაზე ყველა ქართველი ოცნებობს, სრულიად მოუმზადებელი სამედიცინო პერსონალის ხელშია. ის კი არა, ქვეყნის ნაკრები ხშირად არასწორად ემზადება, რაშიც გარკვეული დანაშაული ფეხბურთის ფედერაციასაც მიუძღვის. როგორ შეიძლებოდა იმის დაშვება, რომ რუმინეთთან თამაშის წინ ჩვენი ნაკრები გერმანიიდან, სადაც შეკრება ჰქონდა, ღამის 3 საათზე ჩამოფრინდა თბილისში, ხოლო მატჩი მეორე დღის 21 საათზე გაიმართა. ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელობას სულ დაავიწყდა აკლიმატიზაციის ფაქტორი, რომელიც ხშირად უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ნერვულ სისტემაზე და, შესაბამისად, მთლიანი ორგანიზმის ფუნქციურ მდგომარეობაზე. ბუნებრივია, ამ შეცდომამ, სხვა შეცდომებთან ერთად, განაპირობა ჩვენი ნაკრების წარუმატებლობა რუმინეთის ნაკრებთან.

ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ სპორტსმენის წვრთნასა და გადაწვრთნას (გადაღლას) შორის მხოლოდ ერთი ნაბიჯია, რისი შემჩნევაც ყველაზე ადრე მხოლოდ ექიმს შეუძლია. თანამედროვე დიდ პროფესიულ სპორტში თითოეულ სპორტსმენს ესაჭიროება ექიმის ყოველდღიური მეთვალყურეობა.

დაბოლოს, როგორ მოვიქცეთ, დავტოვოთ სპორტი მედიცინის გარეშე ისე, როგორც დღეს არის, თუ ვინმე ბოლოს და ბოლოს იკისრებს ამ პრობლემის გადაწყვეტას?

***სპორტული მედიცინის ვეტერანი სპეციალისტები***

**ზაქარია თელია**
**პროფესორი**
**რომანოზ სვანიშვილი**
**პროფესორი**

გამოიწერეთ
გაზეთი
სარბიელი
თავის ფასში
ტელეფონით!
ბინაზე მიტანით 1 თვით, 2 თვით, 3 თვით, 6 თვით, 12 თვით.
98-89-09, 26-10-80, (899) 55-30-97
ფოსტის ყუთები და დამონტაჟება უფასოა!
„პრეს-მობილი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

## სპორტული ლატარია კროკო

### რუსეთი. მე-15 ტური
30 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 001 | კრილია-ფაკელი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 16.00 | 002 | ტორპედო-სატურნი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 16.00 | 003 | ალანია-ტორპედო ზილ | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 16.00 | 004 | ანჟი-როსტსელმაში | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 16.00 | 005 | ლოკომოტივი-როტორი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 16.00 | 006 | ზენიტი-სპარტაკი | 2,8 | 2,9 | 2,4 |
| 16.00 | 007 | სოკოლი-ჩერნომორეცი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 16.00 | 008 | ცსკა-დინამო | 2,1 | 3,0 | 3,3 |

### შვედეთი. მე-12 ტური
1 ივლისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 009 | ჰეკენი-ტრელებორგი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 20.00 | 010 | ელფსბორგი-იურგორდენი | 1,95 | 3,2 | 3,4 |

2 ივლისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 011 | ჰამარბი-ჰელსინგბორგი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 22.00 | 012 | მალმიო-სუნდსვალი | 1,55 | 3,5 | 5,3 |
| 22.00 | 013 | იორებრო-ჰალმსტადი | 2,3 | 3,1 | 2,8 |

### ნორვეგია. მე-13 ტური
1 ივლისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 014 | ბოდიო გლიმტი-სიოგნდალი | 2,2 | 3,1 | 2,8 |
| 21.00 | 015 | ბრინი-ლინი | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 21.00 | 016 | მოლდე-ვიკინგი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 21.00 | 017 | მოსი-სტაბეკი | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| 21.00 | 018 | სტრიომგოდსეტი-ოდ გრენლანდი | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| 21.00 | 019 | ტრომსიო-ლილესტრიომი | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| 23.05 | 020 | რუსენბორგი-ბრანი | 1,55 | 3,4 | 5,6 |

### ფინეთი. მე-15 ტური
28 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 021 | ჰაკა-ინტერი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 20.30 | 022 | ჯაზი-იოკერიტი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 20.30 | 023 | ლაჰტი-ატლანტისი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 20.30 | 024 | ტამპერე-როვანიემი | 1,4 | 3,8 | 6,0 |

### ფინეთი. მე-16 ტური
1 ივლისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 025 | ატლანტისი-ტამპერე | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 20.30 | 026 | ჰაკა-ლაჰტი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 20.30 | 027 | კუოპიო-ინტერი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 20.30 | 028 | როვანიემი-ჯაზი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 20.30 | 029 | ვაასა-იოკერიტი | 1,9 | 3,2 | 3,5 |

### ესპანეთის თასი. ფინალი (სევილიაში)
30 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 00.30 | 030 | სელტა-სარაგოსა | 2,2 | 3,1 | 3,0 |

### ინტერტოტო. II ეტაპი. I მატჩები
30 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 501 | ბაზელი-გრინდავიკი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 20.00 | 502 | სლავენი-ბასტია | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 21.00 | 503 | დინამო (მინსკი)-ჰაპოელი (ჰაიფა) | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 21.00 | 504 | პობედა-რიზე | 1,9 | 3,2 | 3,8 |
| 23.00 | 505 | ჩელიკი-გენტი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 23.00 | 506 | შტურმი-ლოზანა | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 23.00 | 507 | ტრუა-ვიტ ჯორჯია | ანგარიში - 5,0 | | |

1 ივლისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 508 | ოდენსე-აიკ | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 18.00 | 509 | მიუნხენი-სარტიდი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 19.30 | 510 | სინოტი-უნივერსიტატია | 1,55 | 3,5 | 5,3 |
| 20.00 | 511 | ლიეპაია-ჰერენვენი | 3,2 | 3,4 | 1,95 |
| 20.00 | 512 | ზაგლებე-ლოკერენი | 1,95 | 3,3 | 3,3 |
| 20.30 | 513 | სპარტაკი (ვარნა)-ტავრია | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 20.30 | 514 | ტილიგული-ტატაბანია | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 21.00 | 515 | ცელიე-პეტრჟალკა | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 21.00 | 516 | პსჟ-ჯაზი (ნეიტრ.) | 1,2 | 5,0 | 9,0 |

### მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები
29 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 517 | ლიბია-ანგოლა | 3,8 | 3,3 | 1,7 |

30 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 518 | ნამიბია-ალჟირი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 24.00 | 519 | მაროკო-ეგვიპტე | 1,85 | 3,0 | 4,0 |
| 01.00 | 520 | ტრინიდადი-იამაიკა | 2,3 | 3,1 | 2,8 |

1 ივლისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 521 | კამერუნი-ტოგო | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 21.00 | 522 | ბურკინა ფასო-სამხრეთ აფრიკა | 3,4 | 3,1 | 2,0 |
| 21.00 | 523 | კოტ დივუარი-მადაგასკარი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 21.00 | 524 | ლიბერია-განა | 1,8 | 3,2 | 3,6 |
| 22.00 | 525 | მექსიკა-აშშ | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 22.00 | 526 | სუდანი-ნიგერია | 3,0 | 3,1 | 2,1 |
| 23.00 | 527 | ტუნისი-კონგო | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 24.00 | 528 | ურუგვაი-ბრაზილია | 3,3 | 3,0 | 2,1 |
| 02.55 | 529 | ჰონდურასი-კოსტა რიკა | 1,9 | 3,0 | 3,8 |

### მსოფლიოს ჩემპიონატი. ჭაბუკები (არგენტინაში). 1/8 ფინალი
28 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 530 | უკრაინა-პარაგვაი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 22.00 | 531 | კოსტა რიკა-ჩეხეთი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 00.45 | 532 | ანგოლა-ჰოლანდია | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 00.45 | 533 | განა-ეკვადორი | 1,85 | 3,2 | 3,6 |

### მსოფლიოს ჩემპიონატი. ჭაბუკები (არგენტინაში). 1/4 ფინალი
1 ივლისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 534 | | | | |
| 22.00 | 535 | | | | |
| 00.45 | 536 | | | | |
| 00.45 | 537 | | | | |

### ევროპის ჩემპიონატი ქალები (გერმანიაში)
28 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 538 | საფრანგეთი-დანია | 2,3 | 3,3 | 2,6 |
| 22.45 | 539 | ნორვეგია-იტალია | 1,25 | 4,4 | 8,0 |

30 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.10 | 540 | ინგლისი-გერმანია | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 17.10 | 541 | შვედეთი-რუსეთი | 1,0 | 1,0 | 1,0 |

1 ივლისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 542 | დანია-ნორვეგია | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 19.30 | 543 | საფრანგეთი-იტალია | 1,0 | 1,0 | 1,0 |

**ჩოგბურთში უიმბლდონის ტურნირის ფსონებს გაეცნობით ადგილზე**

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

### კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
ნინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან")
წერეთლის გამზირი №11;
ჭავჭავაძის გამზირი №41

ქუთაისი — პუშკინის ქუჩა №16 (ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში)
ფალიაშვილის ქუჩა № 27

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა №30

თელავში — კოსტავას ქუჩა №23.

რუსთავში — შარტავას ქუჩა №7

ოზურგეთში — გურიის ქუჩა №23

ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61;
ჯავახიშვილის ქუჩა №78;
ჭავჭავაძის ქუჩა №113 (მალე)

ქობულეთში — ალმაშენებლის ქუჩა №106

მარნეულში — რუსთაველის ქუჩა №39

ჩოგბურთის მატჩის შეწყვეტის შემთხვევაში მოქმედებს იგივე წესი, რაც ფეხბურთში.

ჩოგბურთის ანგარიშის ფსონი მრავლდება მხოლოდ ანგარიშისაზე, ისევე როგორც შედეგის ფსონი შედეგისაზე. ანგარიშის ფსონის შედეგის ფსონზე გადამრავლება დაუშვებელია.

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „იმერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| გორი | სტალინის ქუჩა №30 | ჭადრაკის კლუბი |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №61 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| ქობულეთი | ალმაშენებლის ქუჩა №106 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

| | |
|---|---|
| ① | ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ |
| ② | შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება |
| ③ | შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება) |
| ④ | მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში |
| ⑤ | წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი |
| ⑥ | არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი |

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა. ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

CART მერვე ეტაპი. პორტლენდის (აშშ) დიდი პრიზი

# ფორმულელებს კარტულიც კარგად ეხერხებათ

**ის,** რაც პორტლენდის ავტოდრომზე შეკრებილმა არცთუ მრავალრიცხოვანმა გულშემატკივრებმა იხილეს, ყველაზე ნაკლებად ჰგავდა რბოლას. წვიმიან, ლამის გუბეებიან ტრასაზე 900-ცხენისძალიანი ბოლიდების კუს ნაბიჯით ბობღვა წვალება უფრო იყო, ვიდრე შეჯიბრი.

ცნობილია, რომ კარტში წვიმის დროს არ ასპარეზობენ და ამდენად, ევროპული ფორმულისგან განსხვავებით, ოკეანისგაღმელები ამ მხრივ ოსტატობითა და გამოცდილებით ვერ დაიკვეხნიან. ზოგჯერ ისეც მომხდარა, რომ წვიმის მიზეზით რბოლა ერთი ან ორი დღითაც კი გადაუდვიათ. ამჯერად ამინდს თავიდან თითქმის არა უშავდა — ორმილიანი წრე სველი კი იყო, მაგრამ თუ აღარ გაწვიმდებოდა, 26 მანქანის საბურავებს ასფალტი თანდათან უნდა გაეშრო. პირიქით კი მოხდა: თითქმის მთელი რბოლის მსვლელობისას წინწკლავდა, თუმცა უკვე დაწყებულ ბრძოლას სახვალიოდ ხომ არ გადადებდნენ. პილოტებსაც ლამის ფორთხვით მოუხდათ ფინიშამდე მიღწევა, მთავარი ბოლომდე გაძლება იყო.

იმის გამო, რომ ბოლიდების მოსრიალება-შეჯახების შედეგად რბოლა უამრავჯერ შეფერხდა და ტრასაზე პეისკარის ცხრაჯერ (!) სტუმრობამ უამრავი დრო წაიღო, 200-მილიანი დისტანცია თითქმის მეოთხედით შეიკვეცა. საქმე ისაა, რომ ფორმულასა და კარტში ყოველი ეტაპის ხანგრძლივობა, მონაწილეთა უსაფრთხოების მიზნით, ორ საათს არ უნდა აღემატებოდეს. რაკი თავიდან დაგეგმილი 98 წრის დაძლევას ბევრად მეტი დრო დასჭირდებოდა, წეს-კანონის ეს პუნქტი ამოქმედდა და ასპარეზობაც ზუსტად ორი საათის შემდეგ შეწყდა. შედეგად მრბოლებმა მხოლოდ 76 წრის დაფარვა მოასწრეს.

ამ ტანჯვა-წვალებას ყველაზე უკეთ მასიმილიანო პაპისმა გაუძლო. 31 წლის იტალიელმა წინა დღეს პოული მოიგო, ასე რომ, სტარტი დანარჩენებზე წინ მყოფმა აიღო და სველ, შხეფებიან ტრასაზე მეტოქეებზე ბევრად ხელსაყრელ პირობებშიც აღმოჩნდა. მართალია, მის წამყვან პოზიციაზე ორჯერ მწვავე იერიში მიიტანა ბრაზილიელმა კრისტიანო და მატამ, მაგრამ ლიდერმა თავი ოსტატურად დაიცვა, ორი საათის მანძილზე ერთი სერიოზული შეცდომაც არ დაუშვია და დამსახურებულ გამარჯვებასაც მიაღწია. მეორე რესტარტისას და მატამ ერთობ გარისკა — სასტარტო სწორის ბოლოს უზარმაზარი სიჩქარე განავითარა და არახელსაყრელი შიდა ტრაექტორიიდან სცადა მკვეთრ მოსახვევში მაქსზე ადრე შესვლა. ბრაზილიელმა გასწრება კი შეძლო, მაგრამ სველ გზაზე საჭე ვერ დაიმორჩილა, ტრასას გადასცდა და ფუჭი მცდელობა გამოუვიდა. თუმცა მისი აქტიურობა ამით არ ამოწურულა. კრისტიანომ მორიგი შეტევა თითქმის იმავე ადგილზე ერთი წრის შემდეგ განახორციელა, მაგრამ ახლაც უშედეგოდ და თავისთვის უფრო საზარალოდ — მისმა „ლოლამ“ ლიდერის „ლოლას“ უკნიდან ოდნავ ურქინა. პაპისის ბოლიდს არაფერი დაშავებია, მეორე კი საკმაოდ დაზიანდა და გზის პირას გაჩერდა. ბრაზილიელის „მუსტანგი“ ბოქსებში კი გამოაჯანმრთელეს, მაგრამ საკმაო დროის ფასად, რამაც და მატას საპრიზო ადგილი დააკარგვინა.

„შეშლილი მაქსი“ 69 წრე ედგა ქარავანს სათავეში და პირველობა მცირე ხნით ბოქსში შესვლის შემდეგ ექსფორმულელ კრისტიან ფიტიპალდის დაუთმო, ხოლო იქ ბრაზილიელის სტუმრობის მერე ლიდერობა დაიბრუნა და მეორე ადგილზე გასულ კიდევ ერთ ბრაზილიელსა და ყოფილ ფორმულელ რობერტო მორენოზე წამნახევრით ადრე დაასრულა რბოლა.

პაპისი იტალიის ქალაქ კომოში დაიბადა. ამჟამად მაიამიში (აშშ) ცხოვრობს. 1995 წელს ფორმულა 1-ის ჩემპიონატში იასპარეზა — „ეროუსის“ გუნდში თანამემამულე ჯანი მორბიდელი შეცვალა. შედეგი უსახური იყო — დებიუტანტმა შვიდი რბოლიდან მხოლოდ სამჯერ მოახერხა ფინიშამდე მისვლა, თუმცა ერთი ქულის მოპოვებაც ვერ შეძლო. 1996 წლიდან კარტშია. 86-ჯერ გავიდა სტარტზე და 313 ქულა დააგროვა. პორტლენდში გამარჯვება მაქსის ექვსწლიან საკარტო კარიერაში მეორე გახდა, პირველი მარშან ფლორიდის ოვალზე იზეიმა. ჯოჯოხეთურ პირობებში მოგებით იგი აღფრთოვანებას ვერ მალავდა, მით უმეტეს, რომ ამ ეტაპზე მაქსიმალური 22 ქულა იშოვა: „ეს პირადად ჩემთვისაც და მთელი ჩემი გუნდისთვისაც ფანტასტიკური რბოლა იყო. დღეს უბედნიერესი ადამიანი ვარ“.

ჩემპიონატს კვლავ კენი ბრაკი ლიდერობს. შვედმა პილოტმა თავისი მარაგი, მართალია, ამჯერად სულ ორი ქულით შეივსო, მაგრამ არათუ შეინარჩუნა ადგილი ცხრილის სათავეში, უახლოეს მდევარ ჰელიო კასტრონევეშთან სხვაობა კიდევ უფრო გაზარდა, რადგან ბრაზილიელი პორტლენდში „მშრალზე“ დარჩა.

**გია ახალაძე**

**რბოლის შედეგები**
**76 წრე — 240,5 კმ**

1. მასიმილიანო პაპისი (იტალია, ლოლა — ფორდი) 2სთ:00.20,836 (120, 145 კმ/სთ საშუალო სიჩქარე); 2. რობერტო მორენო (ბრაზილია, რეინარდ — ტოიოტა) ჩამორჩა 1,47 წამით; 3. კრისტიან ფიტიპალდი (ბრაზილია, ლოლა — ტოიოტა) 3,61; 4. მაქს უილსონი (ბრაზილია, ლოლა — ფორდი) 11,48; 5. პატრიკ კარპენტიე (კანადა, რეინარდ — ფორდი) 12,04; 6. დარიო ფრანკიტი (შოტლანდია, რეინარდ — ჰონდა) 12,57; 7. სკოტ დიქსონი (ახალი ზელანდია, რეინარდ — ტოიოტა) 13,14; 8. მაიკლ ანდრეტი (აშშ, რეინარდ — ჰონდა) 13,84; 9. ორიოლ სერვია (ესპანეთი, ლოლა — ფორდი) 19,18; 10. კრისტიანო და მატა (ბრაზილია, ლოლა — ტოიოტა) 19,62; 11. კენი ბრაკი (შვედეთი, ლოლა — ფორდი) 19,73; 12. ალექსანდრ ტალიანი (კანადა, რეინარდ — ფორდი) 20,53.

**საერთო ჩათვლა**

1. კენი ბრაკი 76 ქულა; 2. ჰელიო კასტრონევეში (ბრაზილია, რეინარდ — ჰონდა) 69; 3. მაიკლ ანდრეტი 53; 4. კრისტიანო და მატა 49; 5. კრისტიან ფიტიპალდი 46; 6. დარიო ფრანკიტი 45; 7. სკოტ დიქსონი 44; 8. ჟილ დე ფერანი (ბრაზილია, რეინარდ — ჰონდა) 44; 9. პოლ ტრეისი (კანადა, რეინარდ — ჰონდა) 40; 10. ჯიმი ვასერი (აშშ, რეინარდ — ტოიოტა) 40; 11. მასიმილიანო პაპისი 38.



მასიმილიანო პაპისმა კარიერაში მეორედ იმარჯვა



ტაი-ბრეიკი

# მარტინას რჩევა მარტინას

**უიმბლდონის** ცხრაგზის ჩემპიონ მარტინა ნავრატილოვას თავისი სეხნია მარტინა ჰინგისისთვის რამდენიმე რჩევა მოეძებნება — ტრენაჟორებზე ვარჯიში, წყვილებში თამაში და ბალახზე უკეთ მომზადება. ჰინგისმა, რომელსაც სახელი მასავით ყოფილ ჩეხოსლოვაკიაში დაბადებული ნავრატილოვას საპატივსაცემოდ ჰქვია, უიმბლდონზე პირველ წრეში ვირხინია რუანო პასკუალთან წააგო.

„ფსიქოლოგიურად ჰინგისი ძლიერია, მაგრამ მას ისეთი მეტოქეები ჰყავს, რომლებსაც ფიზიკურად ქვემოდან ზემოთ უყურებს, ეს კი ნებისმიერზე მოახდენს დამთრგუნველ შთაბეჭდილებას. მარტინამ უფრო აგრესიულად თამაში უნდა სცადოს, რათა მომავალში არ დაიჩაგროს“ — გაზეთ „გარდიანის“ სვეტში დაწერა ნავრატილოვამ.

„მან მოწოდება, სმეში და ფიზიკური მზადყოფნა უნდა გაიუმჯობესოს, მაშინ შეძლებს მისკენ მთელი ძალით დარტყმული ბურთები ისევე მიაბრუნოს უკან, როგორც ამას ანდრე აგასი აკეთებს. ამისთვის ტრენაჟორებზე და სარბენ ბილიკზე ვარჯიშია საჭირო“ — განაცხადა მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა, რომელიც უიმბლდონზე წყვილებში არანჩა სანჩეს-ვიკარიოსთან ერთად აპირებს ასპარეზობას.



მარტინა ნავრატილოვა მარტინა ჰინგისს მოძღვრავს

უიმბლდონზე მყესის ანთებით შეჭირვებული ჰინგისი წლეულს ძალების შემონახვის მიზნით წყვილებში საერთოდ აღარ თამაშობს. ნავრატილოვას აზრით, ესეც შეცდომაა: „რუანო პასკუალი როლან გაროსზე ქალების და შერეულ წყვილებში ჩემპიონი გახდა, ბალახზე ეს ძალიან გეხმარება. წყვილებში მეტ ზეწოლას განიცდი ბადესთან თამაშისა და მოუხერხებელი დარტყმებისას სწრაფი რეაქციის გამოჩენის დროს, ეს ასეთ სწრაფ საფარზე უაღრესად მნიშვნელოვანია“.

# საჩუქარი თაგვებს

**ქათქათა** ყვითელ ბურთებს, რომლებიც თავიდან უიმბლდონის ცენტრალურ კორტზე ჩოგბურთის ვარსკვლავების ხელში გაივლიან, სულ მალე შეიძლება ისეთი პატრონები გამოუჩნდეთ, ვერც წარმოიდგენთ.

ყოველწლიურად უიმბლდონის ორგანიზატორები რამდენიმე ასეულ ნახმარ ბურთს ადგილობრივ „მწვანეთა“ ორგანიზაცია „უაილდლაიფ თრასთს“ აძლევენ, რომლებიც თავის მხრივ მათ ევროპის ყველაზე პატარა ჯიშის თაგვების სახლებად იყენებენ. ინგლისელი ენთუზიასტები თურმე ძალიან არიან შეშფოთებული იმის გამო, რომ „მოსავლის თაგვების“ რაოდენობა ალბიონზე კატასტროფულად კლებულობს და ყოველ ღონეს ხმარობენ ამ სასარგებლო არსებების მოსამრავლებლად. საკმარისია, ბურთებში პატარა ხვრელი გააკეთო და ზემოხსენებული მღრღნელების საცხოვრებელ ლერწმიანში დაამაგრო, რომ იდეალური ბუდეც მზად არის.

***

უიმბლდონისა და თაგვებისთვის ოფიციალური ბურთების მიმწოდებელი ფირმა „შლეიზინგერი“ დიდი სლემის ტურნირთან თანამშრომლობის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით გაისად რევოლუციური სიახლის — წყალგაუმტარი ბურთების წარმოებას გეგმავს.

„თუ ნაწვიმარია, ან კორტზე საიდანღაც წყალი მოხვდა, ჩვეულებრივი ბურთები წონაში 10-20 პროცენტით იმატებს. პროფესიონალი ჩოგბურთელი უეჭველად იგრძნობს ამ განსხვავებას, რაც ხელის მცირე ტრავმაშიც შეიძლება გადაიზარდოს. ასე რომ, ახალი ბურთები მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება მოთამაშეებისა და ქომაგებისთვის“.

რაღა თქმა უნდა, ყველაზე მადლიერი „მოსავლის თაგვები“ დარჩებიან.

# ეკრანის შიში

**ქლევანდელ** აშშ-ის ღია პირველობაზე ქომაგები ერთი მნიშვნელოვანი სიახლით დატკბებიან: არტურ ეშის სახელობის ცენტრალურ კორტზე გიგანტურ ეკრანს დადგამენ და ტრიბუნებიდან სხვა კორტებზე მიმდინარე საინტერესო შეხვედრების ნაწყვეტების ცქერაც გახდება შესაძლებელი. რამდენად გაუხარდებათ ამის გაგება ჭირვეულ ვარსკვლავებს, ბოლო რიგში მობილური ტელეფონის წკრიალზე ნერვიული შეტევები რომ მოსდით, ჯერ კიდევ საკითხავია.

„ჩვენ ეს ისე უნდა გავაკეთოთ, რომ მატჩების მიმდინარეობას ხელი არ შევუშალოთ. ეკრანის დადგმა ახალ ენერგიას წარმოქმნის, მას სეტების, ანდა გეიმებს შორის შესვენების დროს ავამუშავებთ. ჩოგბურთი ერთადერთი სპორტია, სადაც უსაქმურობისგან ტუალეტში მოგინდება წასვლა, მატჩებს შორის სტადიონი კვდება“ — აცხადებს ტურნირის თავკაცი არლენ კენტარიანი.

ბუნებრივია, კონსერვატიულ უიმბლდონზე მსგავსის გაგონებაც არ სურთ. „ცენტრალური კორტი თეატრია, მთავარი სწორედ ისაა, რაც იქ ხდება. ვფიქრობ, მოთამაშეების შეურაცხყოფა იქნება, შეხვედრის მიმდინარეობისას სხვა მატჩების ნაწყვეტები ვუჩვენოთ. თანაც „ფლეშინგ მედოუზზე“ ცენტრალური კორტი 24 ათას კაცს იტევს, ჩვენთან კი გაცილებით ნაკლებს, ეკრანისთვის ადგილიც არ არის“ — უამრავი მიზეზი გამოძებნა „ოლ ინგლენდ კლაბის“ თავმჯდომარე ტიმ ფილიპსმა.

# ნუ გაიძრობთ მაისურას

**„ოლ ინგლენდ კლაბში“** ათასგვარი წესი მხოლოდ ჩოგბურთელებისთვის როდია შემოღებული, აქ რეგლამენტს ყოველწლიურად მატჩებზე დასასწრებად მოსული ასიათასობით ქომაგიც უნდა დაემორჩილოს.

„ნუ დაუკრავთ ტაშს ორმაგი შეცდომის ან ბურთის ბადეზე მოხვედრის შემდეგ, გათამაშების დროს ხმა არ ამოიღოთ, თუ მობილურ ტელეფონს ჩართულს დატოვებთ, რაც მოხდება, თქვენს თავს დააბრალეთ“ — ამოიკითხავთ მაყურებლებისთვის განკუთვნილ ტურნირის პროგრამაში.

თუ ტრიბუნაზე მოკალათებული რომელიმე ძლიერი სქესის წარმომადგენელი (იმედია, ფემინისტები არ იწყენენ) ტორსის მოშიშვლებას და მზეზე მოფიცხებას დააპირებს, იმედი მწარედ გაუცრუვდება: მასთან მაშინვე „სტილის პოლიციის“ მუშაკები გამოცხადდებიან და თუ მაისურა უმალ არ გადაიცვა, კორტსგარეთ მიაბრძანებენ.

**ავთანდილ სვანიძე**

## უიმბლდონი 2001

# ბეჭედი შტეფის თითზე ოღონდ ნურაფერს იკითხავთ



REUTERS ლონდონიდან

პატრიკ რაფტერი სეზონის ბოლოს ნახევარწლიან შვებულებას აიღებს

**ქლევლენდელი** უიმბლდონის პრესკონფერენციებზე მთავარი სასაუბრო თემა ვეტერანი ვაჟი ვარსკვლავების საპენსიო გეგმებია. პიტ სამპრასის დაკითხვის შემდეგ ჟურნალისტებმა სამშაბათს მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგნებზე — ანდრე აგასისა და პატრიკ რაფტერზე გადაინაცვლეს.

„იმის დიდი შანსია, რომ უიმბლდონზე წლეულს უკანასკნელად მხედავთ, მაგრამ გადაწყვეტით არაფრის თქმა არ მინდა. თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ სეზონის ბოლოს სპორტიდან წავალ, თუმცა, როგორც ცხოვრებაში, წინასწარ 100 პროცენტით განსაზღვრა, რა მოხდება, შეუძლებელია. დეკემბერში ნახევარწლიან შვებულებას ავიღებ და თუ ამის შემდეგ ჩოგბურთი ისევ ძალიან მომენატრება, მხოლოდ მაშინ დავბრუნდები" — აღნიშნა 28 წლის რაფტერმა.

აშშ-ის ღია პირველობის ორგზის ჩემპიონს ჯერ ხეირიანად ვერც კი წარმოუდგენია, რას გააკეთებს დიდი სპორტიდან წასვლის შემდეგ: „ეს საიდუმლოა. აბა, როგორ გაგანდოთ, როდესაც თავადაც არ ვიცი? უბრალოდ, მინდა, დილით გავიღვიძო, პლაჟზე საბანაოდ გავიდე, მერე ცოტა იოგაში გავივარჯიშო, გოლფი წავითამაშო. დანამდვილებით ის ვიცი, რომ შობაზე ავსტრალიაში მშობლებთან და და-ძმებთან ერთად ვიქნები, მერე კი რამდენიმე თვეს ჩემს ვილაზე, ბერმუდის კუნძულებზე გავატარებ."

რაფტერის მეტოქემ, წყვილებში თამაშის ოსტატმა დანიელ ვაჩეკმა შარშან კიდევ უფრო მეტი, თითქმის მთელი სეზონი გაატარა უსაქმოდ ზურგის ტრავმის გამო, ასე რომ, ავსტრალიელს დროის მოკვლაში ერთი-ორ საქმიან რჩევას არ დაამადლიდა. აყლაყუდა ჩეხმა უიმბლდონის შარშანდელ ფინალისტს ღირსეულ წინააღმდეგობა მხოლოდ მეორე ხელში გაუწია, ტაი-ბრეიკზე საერთო ანგარიშის გათანაბრების შანსიც ჰქონდა, მაგრამ ბადესთან უშეცდომოდ მოთამაშე რაფტერმა მინი-კრიზისი იოლად დაძლია და 6:2, 7:6 (9:7), 6:3 იმარჯვა.

„წინასწარ ამაზე საუბარი არ მიყვარს, მაგრამ ჩემპიონობის საკუთარ შანსებს ცუდად არ ვაფასებ. შარშან ფინალში გასვლამ ტურნირის წინ დამატებითი თავდაჯერება შემმატა, იქნებ ეს მართლაც ჩემი იღბლიანი უიმბლდონი გამოდგეს."

რაფტერის მიერ 2000-ის ნახევარფინალში დამარცხებული ანდრე აგასი ასაკით ავსტრალიელზე სამი წლითაა უფროსი, მაგრამ მისგან განსხვავებით, პენსიაზე ფიქრით ჯერ თავს არ იტკიებს: „არ ვიცი, ჩემი კარიერა როგორ ან როდის დასრულდება. მხოლოდ იმის იმედი მაქვს, ეს მაშინ მოხდება, როდესაც მოგების თავი აღარ მექნება. იმას რას სჯობს, თუ მაიკლ ჯორდანის არ იყოს, მეც გამარჯვებული წავალ, ეს რომანტიკულად ჟღერს."

პირველი წრის შეხვედრა ჰოლანდიელი პეტერ ვესელსის წინააღმდეგ მე-200 იყო აგასის კარიერაში „მეიჯორებზე". „მეორე კრაიჩეკად" წოდებულმა, თამაშის სტილითა და მოძრაობით 1996 წლის უიმბლდონის ჩემპიონის ალიკვალმა ვესელსმა წლეულს ბალახზე მარატ საფინი და პატრიკ რაფტერი გაამწარა და ტყვიასავით მოწოდებებით თავიდან ცოტათი ხოტორა ლასვეგასელიც შეაშინა. ანდრემ მეტოქის თარეში მთავარი მსაჯისა და ზუსტი მიღებების წყალობით პირველი სეტის ტაი-ბრეიკზე ალაგმა, თავის მხრივ ვესელს მთელ მატჩში ერთი ბრეიკ-პოინტიც არ დაანება და 7:6 (7:1), 6:4, 6:4 მოიგო.

ამ გამარჯვების შემდეგ ამერიკელს დიდი სლემის ტურნირებზე 163 მოგება დაუგროვდა და ამ მაჩვენებლით დიდ გერმანელ ბორის ბეკერს გაუტოლდა, რაც მეექვსე შედეგია პროფესიულ (1968 წლიდან მოყოლებული) ერაში.

„ეს ყველაზე მძიმე დროა სეზონში, ექვსკვირიანი პლეი ოფი როლან გაროსიდან უიმბლდონის ჩათვლით, თანაც ასე რადიკალურად განსხვავებულ საფარზე. იმედია, გამოცდილება დამეხმარება ამ ცვლილების უმტკივნეულოდ გადატანაში" — აღნიშნა აგასიმ, რომელსაც ტრიბუნებიდან გელფრენდი შტეფი გრაფი ამხნევებდა.

ტელეკომპანია BBC მატჩის დროს ხშირ-ხშირად უჩვენებდა შტეფის, განსაკუთრებულად კი მის არათითზე დაბნეულ ოქროს ბეჭედს. კითხვამ, უახლოეს მომავალში დაქორწინებას ხომ არ აპირებს, აგასის, როგორც ყოველთვის, გუნება მოუშხამა. „ისეთი რამე იკითხეთ, რაც თქვენ გეხებათ — უხეშად მიუგო ანდრემ და არც მაშინ დაიბნა, ჟურნალისტმა რომ უთხრა, ეს მე კი არა, ქომაგებს აინტერესებთ ძალიანო — ჰოდა, დაველოდები, სანამ ისინი თავად შემეკითხებიან".

წლეულს განთესილთა რაოდენობის 32-მდე გაზრდის მიუხედავად, მასპინძელი გრეგ რუზეცკი რჩეულთა შორის მაინც ვერ მოხვდა. მით უარესი ბობოლა მეტოქეებისთვის, რომლებიც მას პირველ ეტაპებზე შეიძლება შეხვდნენ — მსოფლიოში უსწრაფესი მოწოდების პატრონ ბრიტს ზემოხსენებული ფაქტი სულ არ აღელვებს.

რუზეცკის ეისების სიმწარე მეორე წრეში შარშანდელმა მეოთხედფინალისტმა ბაირონ ბლექმა გამოსცადა საკუთარ ტყავზე. თეთრკანიანმა აფრიკელმა კოლონიზატორთა ჯიშიდან რამდენიმე კვირის წინ შინ ფეხბურთის თამაშის დროს კოჭი იღრძო, თუმცა მეტოქის ტყვიასავით დარტყმების წინააღმდეგ ვერც სრულ ჯანზე ყოფნისას გახდებოდა რაიმეს. ინგლისელი საკუთარ მოწოდებებს თითქმის სულ მშრალზე იგებდა, ბლექს ბადესთან ხშირი გასვლებით შიშის ქვეშ ამყოფებდა და 6:1, 6:3, 6:4 გამარჯვებას 90 წუთიც კი არ დაახარჯა.

„ფიზიკურად სრულ მზადყოფნაში ვარ და სიკვდილამდე ვიბრძოლებ. ახლა უკეთ ვთამაშობ, ვიდრე 1997-ში, როდესაც აქ მეოთხედფინალში გავაღწიე. მაშინ წარმატებას ჯიგრით და სისხლით ვაღწევდი, ამჟამად კი ტაქტიკაშიც და ტექნიკაშიც მეტი გამეგება" — არ დაიმორცხვა გრეგმა.

რუზეცკის მომდევნო მეტოქე ესპანელი ხუან კარლოს ფერერო იქნება. 21 წლის მსოფლიოს მეოთხე ჩოგანი კარგა ხანს იმუქრებოდა უიმბლდონის ბოიკოტით და ახალი ყაიდის განთესვის სისტემამ ყველაზე მეტადაც დააზარალა (ოთხი ადგილით დააქვეითეს), ამიტომ „ოლ ინგლენდ კლაბის" მესვეურთა ჯინაზე აქ თავის გამოჩენა ძალიან სურს და რუზეცკის დამარცხებით მთელ ნისლიან ალბიონს ნიშნაც მოუგებს (რაც ძალიან ნაკლებ სავარაუდოა).

ფერეროს ამ კვირამდე ბალახზე კარიერაში ერთხელაც არ მოეგო, თუმცა საძულველ საფარს მშვენივრად მოერგო — ჯერ ირაკლი ლაბაძის გამამწარებელი ლუკ მილიგანი გაანადგურა, გუშინ კი უიმბლდონის ყოფილი ნახევარფინალისტი ჯეისონ სტოლტენბერგიც დაიბრიყვა 7:6 (7:4), 4:6, 6:3, 6:7 (3:7), 6:3. „მოსკიტო" თავისი თამაშის სტილის ერთგული რჩება და ბადესთან გაჭრებს უკანა ხაზზე დგომა ურჩევნია, თუმცა ჩვეული პოზიციიდან ოდნავ წინ წაწევა მიღებების დროს და მძლავრი დარტყმების არსენალში ბასრი მოჭრილების გარევა ვეტერანი ავსტრალიელისთვის ბოლოს მოსალებად სავსებით საკმარისი გამოდგა.

მშვენიერი სქესის ბობოლებიდან გუშინ ყველაზე მეტად როლან გაროსის ნახევარფინალისტ ჟიუსტინ ენენს (8) გაუჭირდა — 19 წლის ბელგიელი კინალამ ჰოლანდიელი კრისტი ბუგერტის მსხვერპლი შეიქნა. ენენმა კარგა ხნის მანძილზე ვერაფერი მოუხერხა მეტოქის, დიაცთა კვალობაზე, მძლავრ მოწოდებებს და პირველი სეტის წაგების შემდეგ მეორეში 1:4 ჩამორჩა.

ბელგიელის საბედნიეროდ, გამარჯვების სიახლოვემ ბუგერტს ხელ-ფეხი გაუშეშა და პირველი მოწოდებები უგზო-უკვლოდ დააკარგვინა. ენენმაც კარგად ისარგებლა მეტოქის სულ უფრო მზარდი რაოდენობის შეცდომებით, მდგომარეობა სწრაფად გამოასწორა და საკუთარ თავზე დაბოლმილ-გასავათებულ, კლასიფიკაციით 125-ე ჰოლანდიელს სენსაციის ავტორობა არ დაანება 5:7, 7:5, 6:2.

სამაგიეროდ, ვერ დაუძვრა მარცხს მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი არანჩა სანჩეს-ვიკარიო. ვეტერან ესპანელს ამერიკელ ლილია ოსტერლოსთან მატჩში მაჯის საწამლოდ ექიმის ხმობა დასჭირდა, მნიშვნელოვან მომენტებში უჩვეულოდ ხშირად სცოდავდა და საბოლოოდ 6:7 (4:7), 5:7 წააგო.

**ავთანდილ სვანიძე**

### მეორე წრე

**ვაჟები**

**სარგის სარგსიანი** (სომხეთი) — ტომი რობრედო (ესპანეთი) 6:2, 6:4, 3:6, 6:1; **გრეგ რუზეცკი** (ბრიტანეთი) — ბაირონ ბლექი (ზიმბაბვე) 6:1, 6:3, 6:4; **არნო კლემანი** (13, საფრანგეთი) — გერმან პუენტესი (ესპანეთი) 6:3, 6:3, 6:4; **რაემონ სლუიტერი** (ჰოლანდია) — ტოდ ვუდბრიჯი (ავსტრალია) 6:4, 7:6 (7:3), 2:6, 6:3; **როჯერ ფედერერი** (15, შვეიცარია) — ქსავიე მალისი (ბელგია) 6:3, 7:5, 3:6, 4:6, 6:3; **გორან ივანიშევიჩი** (ხორვატია) — კარლოს მოია (21, ესპანეთი) 6:7 (6:8), 6:3, 6:4, 6:4; **ხუან კარლოს ფერერო** (8, ესპანეთი) — ჯეისონ სტოლტენბერგი (ავსტრალია) 7:6 (7:4), 4:6, 6:3, 6:7 (3:7), 6:3; **ენდი როდიკი** (აშშ) — ტომას იოჰანსონი (11, შვედეთი) 7:6 (7:1), 6:1, 4:6, 7:6 (7:3); **იონას ბიორკმანი** (33, შვედეთი) — მაიკლ ჩანგი (აშშ) 7:6 (7:4), 7:6 (7:1), 6:4; **მაგნუს ლარსონი** (შვედეთი) — კრის ვუდრაფი (აშშ) 6:4, 6:4, 6:2; **მარატ საფინი** (4, რუსეთი) — დანიელ ნესტორი (კანადა) 7:6 (7:4), 3:6, 1:2 — ტრავმა; **სხენგ შალკენი** (26, ჰოლანდია) — ბობ ბრაიანი (აშშ) 6:4, 3:6, 6:3, 6:4; **ტიმ ჰენმანი** (6, ბრიტანეთი) — მარტინ ლი (ბრიტანეთი) 6:2, 6:3, 6:4; **დავიდ პრინოზილი** (გერმანია) — დავიდე სანგვინეტი (იტალია) 6:3, 4:6, 6:4, 4:6, 6:0; **ტოდ მარტინი** (აშშ) — ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) 6:7 (3:7), 2:6, 6:4, 6:4, 6:4; **პიტ სამპრასი** (1, აშშ) — ბერი კოუენი (ბრიტანეთი) 6:3, 6:2, 6:7 (5:7), 4:6, 6:3

**ქალები**

**ლაიზა რეიმონდი** (28, აშშ) — კარენ კროსი (ბრიტანეთი) 6:0, 6:1; **ბარბარა შვარცი** (ავსტრია) — სელიმა სფარი (ტუნისი) 6:4, 6:4; **ემანუელა გალიარდი** (შვეიცარია) — კრისტინა ბრანდი (აშშ) 6:1, 6:2; **ლინა კრასნარუცკაია** (რუსეთი) — ვირხინია რუანო პასკუალი (ესპანეთი) 6:3, 7:6 (7:3); **კონჩიტა მარტინესი** (19, ესპანეთი) — სანდრა კასიკი (აშშ) 7:5, 6:4; **ჟიუსტინ ენენი** (8, ბელგია) — კრისტი ბუგერტი (ჰოლანდია) 5:7, 7:5, 6:2; **სერენა უილიამსი** (5, აშშ) — ბარბარა რიტნერი (გერმანია) 6:4, 6:0; **სანდრინ ტესტიუ** (15, საფრანგეთი) — კარინა ჰაბსუდოვა (სლოვაკეთი) 6:0, 6:1; **ანკე ჰუბერი** (18, გერმანია) — მარლინ ვაინგარტნერი (გერმანია) 7:5, 6:1; **ტატიანა პანოვა** (32, რუსეთი) — ტინა პისნიკი (სლოვენია) 7:6 (7:3), 2:6, 6:2; **ელენა დემენტიევა** (10, რუსეთი) — ბიანკა ლამადე (გერმანია) 4:6, 6:3, 6:4; **ლილია ოსტერლო** (აშშ) — არანჩა სანჩეს ვიკარიო (13, ესპანეთი) 7:6 (7:4), 7:5; **აი სუგიამა** (იაპონია) — ანასტასია მისკინა (რუსეთი) 2:6, 6:4, 6:3; **ემი ფრეზერი** (20, აშშ) — ჯანეტ ლი (ტაივანი) 6:4, 6:2; **ჯენიფერ კაპრიატი** (4, აშშ) — ფრანჩესკა სკავიონე (იტალია) 6:3, 6:1; **მაგდალენა მალეევა** (12, ბულგარეთი) — ელენა ბოვინა (რუსეთი) 7:5, 7:5

**პირველი წრე. გადადებული მატჩი**

**ტამარინე ტანასუგარნი** (31, ტაილანდი) — კარა ბლექი (ზიმბაბვე) 5:7, 7:6 (7:2), 6:3



REUTERS ლონდონიდან

ჟუსტინ ენენი კრისტი ბუგერტმა გვარიანად აწვალა



REUTERS ლონდონიდან

გრეგ რუზეცკის მოწოდებას ყველა უფრთხის

# ლეგიონი ვარკეთილში

ნუკრი ვარდანიძის ფოტო





ბადრი ქეთილაძის ფოტო

საფრანგეთში სარაგბო არდადეგების ჟამი ჩამოდგა, ჩვენში კი სწორედ ახლა გახურდა ჩემპიონატი. დიდი ქართული ლეგიონი საფრანგეთიდან შინ დაბრუნებულა და, რა თქმა უნდა, გულით გაუწევია ვარკეთილის მინდვრისკენ, სადაც სარაგბო ცხოვრება დუღს. ტულონელები, გია ლაბაძე და ილია ზედგინიძე ხალისით დაბიჯებენ მოედნის კიდეზე, ლევან ცაბაძე კი რუსთაველ მორაგბეთა შორის ჩამდგარა და უთუოდ ტაქტიკისას ამბობს. ლეონსიოს მშობლიური ქალაქის გუნდი ახლა მეორე ლიგაში თამაშობს და კასტრელი თანამემამულის თანადგომა დიახაც გამოადგება.

# ბარბარას ჯიბე



REUTERS ლონდონიდან

ავსტრიელი ჩოგბურთელი ბარბარა შეტი ჯერჯერობით ჩაუქად ირჯება უიმბლდონზე: პირველ წრეში სლოვენიელი მაია მატევჟიჩი დაამარცხა 4:6, 6:2, 8:6. მაგრამ თვალმახვილ რეპორტიორებს მის თამაშზე არანაკლებ მნიშვნელოვნად მისი ჯიბე მიუჩნევიათ.
მოგეხსენებათ, ყოველ საჩოგბურთო სამოსს აქვს ბურთის შესანახი ჯიბე ამა თუ იმ ჩოგბურთელისთვის მოსახერხებელ ადგილას. ბარბარას მოსახერხებელი ადგილი კი კაცის ფიქრს სულ სხვა მხარეს გაუძღვება...



# რეი წავიდა



REUTERS დენვერიდან

ოცდაორ წელიწადს ითამაშა ჰოკეი რეი ბურკმა. აქედან ოცდაერთ წელიწადს „ბოსტონ ბრუინზში". ბოლო სეზონი დენვერის „კოლორადო ეველანშში" გაატარა და კარიერაში პირველად, ამ ოცდამეორე სეზონში მოიგო სტენლის თასი. პირველად და როგორც გაირკვა, უკანასკნელად. წვერში ჭაღარაგარეული, სიხარულით ატირებული რეი ბურკი წარსულში დარჩა. წვერგაპარსული შუახნის კაცი, კვლავაც ცრემლმორეული, მედიას უცხადებს, რომ ჰოკეის ეთხოვება.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბეხელია, თამაზ გოგებაშვილი, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge